პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 თებერვალი კვირა 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 50 (14960)

**გუშინ მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.







თბილისი. 1971 წლის 27 თებერვალი. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის პრეზიდიუმი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. მახტანგაძისა.

## გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა

გუშინ, 27 თებერვალს, მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ.

დილის 10 საათია. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში თავი მოიყარეს საქართველოს კომპარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაცადი, მებრძოლი და ერთგული რაზმის — საუკეთესო წარმომადგენლებმა. ყრილობის დელეგატები — ძველი ბოლშევიკები, სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნოვატორები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის მეომრების წარმოგზავნილები — შეიკრიბნენ, რათა ანალიზი გაუკეთონ საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის შემდეგ განვლილ ხუთ წელიწადში გაწეული მუშაობის შედეგებს, განაზოგადონ ისინი, განსაზღვრონ პარტიული ორგანიზაციების უახლოესი წლების ამოცანები, დასახონ ახალი მიჯნები, რომლებსაც უნდა მივაღწიოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გზებზე.

ყრილობა მიმდინარეობს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია პარტიისა და ხალხის ცხოვრების ღირსსახსოვარი მოვლენისათვის სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებით, იმ დღეებში, როცა საქართველოს მშრომელები მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად ემზადებიან, რათა ზეიმით აღნიშნონ საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი.

სოციალიზმის უშრეტ შესაძლებლობათა ღრმა რწმენის გრძნობით, აღფრთოვანებით აღიქვეს საქართველოს მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, პროექტი სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტში ნათლად არის განსახიერებული ლენინური გენერალური ხაზი ჩვენი პარტიისა, რომელიც გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს და მტკიცედ მიუძღვის მას გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

წინა ყრილობის შემდეგ განვლილი ხუთი წელიწადი აღსავსე იყო დიდი შემოქმედებითი შრომით სკკპ XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ორგანიზაციულად და იდეურად განმტკიცებული, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, მასებისადმი ხელმძღვანელობის გამოცდილებით კიდევ უფრო გამდიდრებული შეეგება საქართველოს პარტიული ორგანიზაცია თავის XXIV ყრილობას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა გახსნილად გამოაცხადა.

აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. ო. კობახიას წინადადებით ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები გ. გ. აბაშიძე, ნ. მ. ბარანოვი, ო. ს. ბოჟორიძე, შ. ე. გუხრაშვილი, დ. ლ. გელაშვილი, პ. გ. გილაშვილი, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ლ. მ. დავითაძე, ვ. ვ. ვასილიევი, ი. ნ. ვეკუა, მ. ი. ვორობიოვი, ა. ნ. თოიძე, ა. დ. თხილაიშვილი, ა. ნ. ინაური, ა. გ. ისმაილოვი, ვ. ს. კვარაცხელია, შ. დ. კიკნაძე, ა. პ. კლიმოვი, ვ. ო. კობახია, ს. ა. კურკოტკინი, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ო. ი. ლოლაშვილი, დ. ვ. ლომაძე, ნ. პ. მამაიაშვილი, ვ. ს. მეტრეველი, მ. ი. მექვევრიშვილი, ვ. პ. მჟავანაძე, თ. ი. მოსაშვილი, ნ. ი. მუსხელიშვილი, ი. გ. პავლოვსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, ს. პ. პეტროსიანი, ნ. ი. სავინკინი, დ. ი. სანკოვი, გ. ს. ფირცხალავა, ნ. დ. ფსურცევი, გ. ი. ქადაგიძე, ა. გ. შელეპინი, ა. ნ. ჩურკინი, ნ. შ. ცხაკაია, გ. ს. ძოწენიძე, გ. გ. წულაია, შ. ი. ჭანუყვაძე, ა. ე. ჭითანავა, ი. რ. ხვედელიანი, გ. დ. ჯავახიშვილი, დ. მ. ჯანჯღავა, გ. ნ. ჯუსოევი.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ო. ს. ბოჟორიძის წინადადებით სამდივნოს შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები ზ. გ. გელდიაშვილი, შ. ო. გრძელიშვილი, ზ. ა. კვაჭაძე, ა. მ. ლაგახუა, ნ. ა. ლაკია, ა. ა. მანელაშვილი, ი. ი. ნაგლი.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. გ. ნ. ჯუსოევის წინადადებით სარედაქციო კომისიაში აირჩიეს ამხანაგები ი. გ. აბაშიძე, ა. ს. ბექაური, დ. ვ. გოგოხია, ვ. ი. ვადაჭკორია, მ. მ. ლელაშვილი, დ. ვ. მჭედლიშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ა. დ. თხილაიშვილის წინადადებით სამანდატო კომისიის შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები რ. ა. ბზიშვილი, დ. ვ. გელაშვილი, დ. დ. დიასამიძე, ფ. დ. დუმბაძე, გ. ბ. კუხალეიშვილი, რ. ვ. მეტრეველი, ვ. მ. სირაძე, ე. ბ. სოლომონია, ბ. ვ. შინკუბა, ე. მ. ჯაფარიძე, ა. კ. ჯიოევი.

ტრიბუნაზეა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი ამხ. ი. რ. ხვედელიანი. მისი წინადადებაა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

ყრილობის დელეგატები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამ წინადადებას.

დამტკიცდა ყრილობის დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

2. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. ს. ფირცხალავა.

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ — მომხსენებელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. დ. ჯავახიშვილი.

4. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა;

ბ) საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიისა;

გ) სკკპ XXIV ყრილობის დელეგატებისა.

დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

თავმჯდომარემ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. ი. ჭანუყვაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვა მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. ს. ფირცხალავამ.

ამით ყრილობის დილის სხდომა დამთავრდა.

* * *

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის საღამოს სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით, დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების განხილვა.

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. ო. კობახია, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობი ზეინკალი ამხ. ვ. დ. ასათიანი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ა. დ. თხილაიშვილი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ო. ს. ბოჟორიძე.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ამხ. რ. ვ. მეტრეველმა.

სამანდატო კომისიის მოხსენება დაამტკიცეს

ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ცნობას, რომ საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის სახელზე მიღებულია უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის. თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის სამხედრო საბჭოს, სარდლობისა და პოლიტიკური განყოფილების ბაქოს საჰაერო თავდაცვის ოლქის სამხედრო საბჭოსა და პოლიტიკური სამმართველოს მისასალმებელი დეპეშები.

მოხსენებათა გამო განახლებულ კამათში გამოვიდნენ: ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ლ. ტ. ჩხაიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი.

ყრილობის დელეგატებს მიესალმნენ ახალგაზრდობის, საბჭოთა არმიის მეომრების წარმომადგენლები და პიონერები.

ამით დამთავრდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მუშაობის პირველი დღის საღამოს სხდომა. (საქინფორმი).

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება 1971 წლის 27 თებერვალს

ამხანაგო დელეგატებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას წარმოუდგენს საანგარიშო მოხსენებას ხუთ წელიწადში — ყრილობებს შუა პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

**ეს პერიოდი** განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ცხოვრებაში, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. იგი აღინიშნა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებით — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავითა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავით.

**მთელი ეს წლები** აღინიშნა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებული განხორციელებით, ყრილობისა, რომელმაც განსაზღვრა კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი მთლიანად უჭერენ მხარს სკკპ XXIII ყრილობაზე და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე შემუშავებულ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, გულმხურვალედ იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკულ საქმიანობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის **საშინაო-პოლიტიკური საქმიანობა** მიზნად ისახავდა ახალ გამარჯვებათა მოპოვებას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. გასული ხუთწლედის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ ახორციელებდნენ, ახალ დიდ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. ამაღლდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. კიდევ უფრო განვითარდა სოციალისტური დემოკრატია. სულ უფრო განმტკიცდა საბჭოთა ადამიანების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მათი შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო.

**კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი სკკპ XXIV ყრილობას ეგებება შესანიშნავი მიღწევებით ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.**

კომუნისტური პარტიის **საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა** მიზნად ისახავს სოციალიზმის ინტერესების დაცვას, ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მხარდაჭერას, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას. ჩვენი პარტია თანმიმდევრულად იბრძვის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი შეკავშირებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

ახლანდელ, უაღრესად რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ აგრესიულ ომს ინდოჩინეთში, ხოლო ისრაელი დამპყრობლები, რომლებსაც მხარს უჭერენ მათი ოკეანესგაღმელი მფარველები, აბრკოლებენ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიან მოწესრიგებას, ყველგან სულ უფრო და უფრო ძლიერდება წინააღმდეგობა იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკისადმი.

ინდოჩინეთის ხალხთა წინააღმდეგ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის გაფართოებასთან დაკავშირებით გუშინ გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის განცხადება, რომელშიც საბჭოთა კავშირი კვლავ ადასტურებს, რომ მზად არის მომავალშიც გაუწიოს ყოველნაირი დახმარება მოძმე ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ინდოჩინეთის პატრიოტებს, რომლებიც იცავენ თავიანთ კანონიერ უფლებებს, იბრძვიან საარსებო ინტერესებისა და მისწრაფებების განხორციელებისათვის.

საბჭოთა მთავრობის განცხადება მხურვალედ მოიწონეს და სავსებით უჭერენ მხარს საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი, მთელი საბჭოთა ხალხი.

ეჭვი არ არის, რომ ვიეტნამელი, კამბოჯელი და ლაოსელი ხალხების სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. მთელ მსოფლიოში იზრდებიან მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები.

მშვიდობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება. ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალები ფხიზლად დგანან საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი აღმშენებლობითი

(გაგრძელება მე- გვერდზე).

# ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

(გაგრძელება)

შრომის საგუშაგოზე. პარტიის, ხალხისა და სახელმწიფოს განუწყვეტელი ზრუნვითა და ყურადღებით გარემოსილნი, ყველაზე მოწინავე სამხედრო ტექნიკით აღჭურვილნი, ისინი მუდამ მზად არიან საკადრისი პასუხი გასცენ ყოველ აგრესორს.

**ახლა, სკკპ XXIV ყრილობის წინ, განსაკუთრებით მტკიცეა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები, მაღალია მისი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში. მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ლენინური პრინციპების ერთგულმა საბჭოთა საგარეო პოლიტიკამ უზრუნველყო ხელშემწყობი პირობები საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი, აღმშენებლობითი შრომისათვის.**

ამხანაგებო!

ჩვენი ყრილობის წინა დღეებში გამოქვეყნდა პროექტი სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

პარტიის მიერ შემუშავებულ ამ უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტს გულმხურვალედ დაუჭირა მხარი მთელმა საბჭოთა ხალხმა, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმაც. დირექტივების პროექტის ერთსულოვანი მოწონება კვლავ ადასტურებს პარტიისა და ხალხის ერთიანობას, საბჭოთა ადამიანების მტკიცე გადაწყვეტილებას ხორცი შეასხან ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების ახალ დიდებულ პროგრამას.

ჩვენი ყრილობა მოისმენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენებას ხუთწლიანი გეგმის გამო სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ. ამიტომ მე არ ვეხები დირექტივების პროექტის თავისებურებებსა და ძირითად დებულებებს. მხოლოდ ვიტყვი, რომ ახლა პარტიულ ორგანიზაციებში, მშრომელთა კრებებზე და პრესაში მიმდინარეობს მისი ფართო განხილვა. ამ საკითხს განიხილავს ჩვენი ყრილობაც, რომელიც ამასთან დაკავშირებით მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ამხანაგებო!

ღირსშესანიშნავია, რომ საქართველოს კომპარტიის ახლანდელი XXIV ყრილობის მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის დღეებში.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას საქართველოს კომპარტია ეგებება ორგანიზაციულად კიდევ უფრო განმტკიცებული, იდეურად გამოწრთობილი, მჭიდროდ შეკავშირებული სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას საქართველოს მშრომელები ეგებებიან ახალი, მნიშვნელოვანი წარმატებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.**

ეს წარმატებანი დიდ შემოქმედებით ძალას ანიჭებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ და განუხრელად ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. ეს წარმატებანი იმის შედეგია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი დაუცხრომლად ზრუნავს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხების მეგობრობის, ძმობისა და ურთიერთდახმარების განმტკიცებისათვის.

თავის საახალწლო მილოცვაში საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

„ყველა ჩვენი წარმატება საბჭოთა ადამიანების შთაგონებული შრომის, გმირი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის მშრომელთა ნებისა და მოქმედების ერთიანობის შედეგი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის შედეგია".

საანგარიშო პერიოდში, როგორც ყოველთვის, საქართველოს კომპარტიის საქმიანობა, მისი პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობა მიზნად ისახავდა კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას, მათ იდეურ აღზრდას, ფართო მასების ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას, მშრომელთა მობილიზაციას ეკონომიურ მშენებლობაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური საბჭოთა კულტურის შემდგომ აღმავლობას.

## იზრდება საქართველოს მშრომელთა წვლილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში

### ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, სრულვყოთ მრეწველობის მართვა

ამხანაგებო!

ამას წინათ შეჯამდა გასული სამეურნეო წლის შედეგები. პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა რესპუბლიკაში 103 პროცენტით შესრულდა. 1969 წელთან შედარებით რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა 9 პროცენტით, ხოლო სამრეწველო წარმოებისა — 10 პროცენტით. სახელმწიფო დავალების გადამეტებით რეალიზებულია ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია.

სულ მერვე ხუთწლედის მანძილზე წარმოების მოცულობა მრეწველობაში ერთნახევარჯერ და მეტად გადიდდა. ამასთან ზრდის საშუალოწლიურმა ტემპმა შეადგინა 9 პროცენტი—უფრო მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში. უპირატესი ტემპით იზრდებოდა მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობა.

სერიოზული ყურადღება დაეთმო ენერგეტიკული ბაზის განმტკიცებას, რომელიც სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველია. ხუთწლედში საქართველოს ენერგეტიკული სისტემის სიმძლავრე 1,3-ჯერ გაიზარდა, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება — 1,5-ჯერ. გადიდდა ელექტროქსელების სიგრძე, გაიზარდა სატრანსფორმატორო ქვესადგურების სიმძლავრე. აშენდა ამიერკავკასიაში პირველი 500 კილოვოლტის ელექტროგადამცემი ხაზი თბილისსა და ზესტაფონს შორის, რომელმაც გაადიდა საქართველოს მთელი ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობა. თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრე გაიზარდა 930 ათას კილოვატამდე. გრძელდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის მნიშვნელობა ენერგეტიკის განვითარებაში განსაკუთრებით დიდია.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლის მეოხებით ამაღლდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, უფრო სწრაფად ვითარდებიან საწარმოო ძალები. ახალი სისტემით მუშაობს დაახლოებით 800 სამრეწველო საწარმო — რესპუბლიკის მთელ საწარმოთა თითქმის ორი მესამედი. ისინი უშვებენ სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობის 83 პროცენტს, და მათ წილად მოდის სამრეწველო წარმოების მოგების 86 პროცენტი. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ახალი სისტემა ორგანულად უხამებს ერთმანეთს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ეკონომიურ და მორალურ სტიმულებს.

ჩვენი მრეწველობის განვითარებაში მოხდა დიდი თვისებრივი ძვრები. ეს ძირითადი ფონდებისა და მატერიალური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების შედეგი იყო.

წარმატებით გაანაღდეს ხუთწლედის დავალებანი კვების, ხორცისა და რძის, ადგილობრივი მრეწველობის, საავტომობილო გზების სამინისტროების, გაზის მთავარი სამმართველოს, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, თბილისის საავიაციო და ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნების, კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს", რუსთავის ამწეთსამშენებლო ქარხნის, სოხუმის გაზის აპარატურის ქარხნის, ქუთაისის ტექნიკური რეზინის ნაკეთობათა ქარხნის, ბათუმის სამკერვალო გაერთიანებისა და რესპუბლიკის სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

პარტიული ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები დღენიადაგ ზრუნავენ წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის. ფართოვდება ტექნიკური პროგრესის ბაზა, ინერგება პროგრესული ტექნოლოგია. ხუთწლედის განმავლობაში დაიდგა 850-ზე მეტი ავტომატური, მექანიზებული და ნაკადური ხაზი. მრეწველობაში დაინერგა დაახლოებით 100 ათასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა შედეგად დაიზოგა თითქმის 130 მილიონი მანეთი.

ათვისებულია უახლესი მანქანებისა და ხელსაწყოების, ელმავლების, ახალი მოდელის სპეციალური ჩარხების, მმართველი გამოსათვლელი მანქანების, ავტოსაწევრების, კოშკურა ამწეების, ახალი მიწასაწოვი მანქანებისა და ბევრი სხვა მანქანისა და ხელსაწყოს წარმოება.

ახლა 100 სახეობაზე მეტი ჩვენი სამრეწველო პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 70 ქვეყანაში. იგი ფართოდ იყო წარმოდგენილი ბევრ საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაზე, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მზარდ დონეს.

მთლიანად დადებითად რომ ვაფასებთ ტექნიკური ხელახალი აღჭურვის შედეგებს, ამავე დროს საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მრეწველობის ზოგიერთ დარგში ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმები მხოლოდ 80-85 პროცენტით სრულდება. ეს ჩამორჩენა უნდა აღმოვფხვრათ. არ უნდა შევურიგდეთ აგრეთვე ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შეუსრულებლობის ფაქტებს.

ეკონომიკის შემდგომი ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყაროა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ამაღლება ტექნიკური პროგრესის ბაზაზე. პროდუქციის გამოშვება ძირითადად უნდა გავადიდოთ, როგორც ამას მოითხოვენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, იმ გზით, რომ ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა, უფრო სრულად და რაციონალურად გამოვიყენოთ საწარმოო ფონდები, დავნერგოთ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

გასულ ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება სამრეწველო საწარმოებში 37 პროცენტით და მეტად გაიზარდა. მაგრამ ეს აშკარად არ კმარა. ამიტომ საჭიროა უფრო ფართოდ გავავრცელოთ შჩეკინოს ქიმიური კომბინატის პარტიული კომიტეტის გამოცდილება, რომლის კოლექტივმა გაადიდა პროდუქციის გამოშვება შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე. ამ გამოცდილების დანერგვისათვის უკვე ემზადებიან თბილისის საწარმოებში — კამვოლ-მაუდის კომბინატში, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში" და სხვაგან. მეტროპოლიტენში ეს მეთოდი უკვე დადებით შედეგებს იძლევა. საჭიროა კვლავაც გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი ამაღლების გზით, ამასთან უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის".

მეცნიერებისა და ტექნიკის თავბრუდამხვევი განვითარების საუკუნეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე წარმოების მეცნიერულ მართვას ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენების საფუძველზე.

საქართველოში ხუთწლედის მანძილზე გაიზარდა ელექტრონული ციფრობრივი გამოსათვლელი მანქანების რაოდენობა, რომლებიც აქვთ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, აგრეთვე სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სტატისტიკურ სამმართველოს, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს.

სულ უფრო ფართოდ ინერგება წარმოების მართვის მეცნიერულად ორგანიზებული სისტემა, რომელშიც გამოყენებულია გამოსათვლელი ტექნიკა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია იმ მუშაობისა, რომელიც მომავალში უნდა განვახორციელოთ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა ყოველდღიურად უნდა უზრუნველყოს გამოთვლითი ცენტრების მუშაობის კოორდინაცია, რათა გამოსათვლელი ტექნიკა გამოიყენონ სახალხო მეურნეობაში და ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი სამინისტროებსა და უწყებებს, რომ შეიმუშაონ მართვის ავტომატიზებული სისტემები და დანერგონ საწარმოებსა და დაწესებულებებში.

ტექნიკური პროგრესის მსვლელობაში რთულდება საწარმოების მართვა და ხელმძღვანელობა. იმისათვის, რომ მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი ეკონომიურ განვითარებაში, საჭიროა სრულყოფილად დავეუფლოთ მართვის მეცნიერებას.

ყოველი ღონისძიებით უნდა გავაუმჯობესოთ წარმოების ორგანიზაცია, უფრო სრულად გამოვიყენოთ უკვე სპეციალიზებულ საწარმოთა შესაძლებლობანი, აგრეთვე გამოვიჩინოთ მეტი სიმტკიცე ახალი სპეციალიზებული ქარხნების, ფირმებისა და გაერთიანებების შექმნაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელიც დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საქმეს, შექმნა დარგობრივი სამუშაო კომისიები, რომლებიც შეისწავლიან და შეიმუშავებენ წინადადებებს წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შესახებ.

შემუშავებული და შეტანილია ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება წარმოების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამოცანა ის არის, რომ გულმოდგინედ ვიბრძოლოთ ყველა დასახული ღონისძიების განხორციელებისათვის.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის წარმატებული ბრძოლა — ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს ვისწავლოთ ნამდვილად ყაირათიანი და უნარიანი მეურნეობრიობა.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულია მეტად საგრძნობი შედეგები ნედლეულის, მასალების, სათბობისა და სამუშაო დროის დაზოგვისათვის, მომჭირნეობისათვის ბრძოლაში. საქართველოს მშრომელებმა გამოიჩინეს კარგი ინიციატივა, როცა გადაწყვიტეს ლენინის იუბილეს დღეებში — 1970 წლის 21 და 22 აპრილს ემუშავათ დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით. მრეწველობის 135 ათასმა მშრომელმა ამ დღეებში გამოუშვა რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

რამდენიმე თვის წინათ რესპუბლიკაში დამთავრდა სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების დათვალიერება, რომლის მსვლელობაში უკვე დაინერგა 17 ათასამდე წინადადება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სამუშაო დროის უკეთ გამოყენებისათვის. ამან მოგვცა ექვს მილიონ მანეთზე მეტი წლიური პირობითი ეკონომია.

მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი გამოუყენებელი რეზერვი, რომლებიც უნდა ჩავაყენოთ სახალხო მეურნეობის სამსახურში.

წარმოების ეფექტიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენს მუშახელის დენადობა. ადგილებზე განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, მდგომარეობა ძალიან ნელა უმჯობესდება, დენადობა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში კვლავ დიდია, იგი მომუშავეთა საერთო რიცხვის 25 პროცენტს აღემატება. განსაკუთრებით დიდია მუშახელის დენადობა ქიმიის, მეტალურგიის, მსუბუქი, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში.

ჩვენ ყოველდღიურად, გულმოდგინედ უნდა ვსწავლობდეთ წარმოებაში მუშათა კადრების შენარჩუნების საკითხებს. პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა უფრო მეტად უნდა იზრუნონ წარმოების ორგანიზაციის და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, ყველა რგოლში დისციპლინის განმტკიცებისათვის, მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

ამხანაგებო!

სახელმწიფო გეგმა კანონია თვითეული საწარმოსათვის. ვერავითარი ობიექტური მიზეზებით ვერ გავამართლებთ იმ სამეურნეო მუშაკებს, პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს, რომლებიც შეურიგდნენ ჩამორჩენას და არ ახორციელებენ ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

განვლილ ხუთწლედში ბევრმა მსხვილმა სამრეწველო საწარმომ დასძლია გარკვეული სიძნელენი და მიაღწია მყარ, რიტმულ მუშაობას, გააუმჯობესა შრომის ორგანიზაცია, აამაღლა წარმოების ეფექტიანობა. ამ მხრივ მოპოვებულია წარმატებანი ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, თბილისის საწარმოებში — ელმავალსამშენებლო და ჩარხსამშენებლო ქარხნებში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.

მაგრამ 100-ზე მეტმა საწარმომ ვერ შეასრულა წლიური გეგმები. მართალია, მათ შორის არის ბევრი წვრილი საწარმო პროდუქციის უმნიშვნელო მოცულობით. მაგრამ მათ შორის არის ისეთი საწარმოებიც, როგორიც რუსთავის ქიმიური კომბინატი და ქიმიური ბოჭკოს ქარხანაა. შარშან, მაგალითად, ამ საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 419 ათასი ტონა მინერალური სასუქები, ათი ათასობით ტონა სინთეზური ამიაკი, ათას ტონაზე მეტი ქიმიური ბოჭკო. ქიმიური კომბინატის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ უთმობდა მოწყობილობის რემონტს და მის სათანადო წესრიგზე შენახვას, ნაკლებად ზრუნავდა მუშათა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. ამის შედეგები იყო ავარიები, კადრების უკმარობა, გეგმის ჩაფუშვა.

კომბინატის ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა განახორციელოს ყველაზე ენერგიული ღონისძიებანი, რათა გამოასწოროს მდგომარეობა. პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველნაირად უნდა ეხმარებოდნენ ქიმიკოსებს.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ ხარისხის საკითხს, რადგან პროდუქციის ხარისხის განუწყვეტელი გაუმჯობესება, მისი საიმედოობისა და ხანგამძლეობის ამაღლება სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი რეზერვია.

პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლას ჩვენში დიდი ყურადღება ეთმობა. გაწეულია გარკვეული მუშაობა „შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად.

მაგრამ მკვეთრ გარდატეხას ამ საქმეში ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ. ზოგიერთი საწარმო კვლავ იღებს რეკლამაციებს თავის პროდუქციაზე, ეს განსაკუთრებით ეხება სახალხო მოხმარების საქონელს. ჯერ კიდევ დიდია დანაკარგები წუნის გამო. ჩვენი მრეწველობის ბევრი ნაწარმი ძლიერ ჩამოუვარდება საუკეთესო ნიმუშებს. მეტ წილ ფაბრიკებსა და ქარხნებში ცუდად ემზადებიან პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო ატესტაციისათვის. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის მრეწველობის მხოლოდ ოთხ ნაწარმს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

შარშან წარმოებასა და ვაჭრობაში შემოწმებული ნაწარმიდან ხარისხის მხრივ დაბლა დაწეულ ან დაწუნებულ იქნა 60 ათასი მეტრი ქსოვილები, 14 ათასამდე წყვილი წინდა, 2,5 ათასი ერთეული ავეჯი, 41 ათასი პლასტმასის ნაწარმი, 64 ათასი შეკერილი ნაწარმი და სხვა პროდუქცია.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტყავისა და ფეხსაცმლის საწარმოების ნაკეთობათა ხარისხის საკითხი. მარტო გასული წლის მანძილზე აქ ხარისხი შეუმცირეს და საწარმოებს დაუბრუნეს 450 ათასზე მეტი წყვილი ფეხსაცმელი და გადახდილია 680 ათას მანეთზე მეტი ჯარიმა. სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ ბაზრობებზე ვერ გასაღდა რესპუბლიკის საწარმოებში დამზადებული 10 მილიონ მანეთზე მეტი თანხის ფეხსაცმელი.

სამწუხაროდ, დაბალი ხარისხისაა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა ბევრი სხვა ნაკეთობაც. საჭიროა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობამ (მინისტრი ამხ. მ. ფ. ჩხეიძე) შეიგნოს შექმნილი მდგომარეობის მთელი სერიოზულობა და განახორციელოს გადამჭრელი ღონისძიებანი პროდუქციის ხარისხის ძირეულად გაუმჯობესებისათვის. ალბათ შემდგომში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი შეისწავლის ამ საკითხებს და სპეციალურად იმსჯელებს ამის თაობაზე.

უნდა განვახორციელოთ გადამჭრელი ღონისძიებანი, რათა მივაღწიოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას სხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებშიც. წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის ძირეულად გაუმჯობესების საკითხები მუდამ უნდა იყოს ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების ყურადღების ცენტრში. მუდამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საკითხების წარმატებით გადაჭრაზე ბევრად იქნება დამოკიდებული სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულება, ახალი ხუთწლედის წარმატებანი.

* * *

ამხანაგებო!

სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება განუყრელად დაკავშირებულია ახალი სიმძლავრეების ამოქმედების დაჩქარებასა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებასთან, რომელთა მოცულობა ჩვენს რესპუბლიკაში განუხრელად იზრდება.

განვლილი ხუთწლეულის მანძილზე სამრეწველო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ხაზით მშენებლობაში დაბანდებულია 5 მილიარდამდე მანეთი, ესე იგი 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში.

აშენებული და რეკონსტრუირებულია 280-ზე მეტი სამრეწველო საწარმო და საამქრო, რომელთა შორის არის სახალხო მეურნეობისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც რუსთავის ქიმიური კომბინატის მეორე რიგი, თბილისის მართული გამოსათვლელი მანქანების ქარხანა, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, ბორჯომის ჩამოსასხმელი და სურამის შუშის ტარის ახალი ქარხნები, მძლავრი ქვანახშირის შახტი ტყვარჩელში, მუყაო-რუბეროიდის ქარხანა გარდაბანში, რვა ჩაის ფაბრიკა, თბილისის რაიონული სახელმწიფო ელექტროსადგურის ახალი აგრეგატები.

რესპუბლიკამ ხუთწლეულში მიიღო ბევრი კარგი გზა და ხიდი.

აშენდა თითქმის 700 ათასი სული პირუტყვისა და მილიონ 200 ათასი ფრთა ფრინველისათვის გათვალისწინებული სადგომები.

ქალაქებსა და სოფლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 8 მილიონ 700 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები — 814 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში. ამოქმედდა 149 ათასი მოსწავლისათვის გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი 32 ათასი ადგილით, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

ბევრი რამ გაკეთდა ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის, კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ახლა ქალაქის მოსახლეობის 70 პროცენტი და სოფლის მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტი უზრუნველყოფილია გაზით, 34 ქალაქსა და რაიონულ ცენტრში აშენდა და გაფართოვდა წყალსადენები. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ტროლეიბუსის ხაზები სოხუმსა და ჭიათურაში, ხოლო ამ დღეებში პირველმა ტროლეიბუსმა გაიარა რუსთავის ქუჩებში.

ამასთან ერთად გასულ ხუთწლედში მთლიანად ვერ შესრულდა კაპიტალურ დაბანდებათა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა, საექსპლოატაციოდ არ გადაუციათ ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი. ნელა ვითარდება მშენებლობის ინდუსტრიული ბაზა, საშენ მასალათა მრეწველობის არსებული სიმძლავრენი მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ მშენებლობის გაზრდილ მოცულობასა და ტემპს. სერიოზული ნაკლოვანებანია სოფლად მშენებლობაშიც.

ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მუშაობაში. ჩვენ არაერთგზის მიგვიპყრია ამაზე მინისტრის ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის ყურადღება, მაგრამ მდგომარეობა ნელა, ძალიან ნელა უმჯობესდება.

საქალაქო და რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა სამშენებლო საქმე უნდა აიყვანონ ახალ ამოცანათა დონეზე, აწარმოონ იგი თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე. უფრო გაბედულად უნდა ვამუშავებდეთ და ვიყენებდეთ სამშენებლო პროცესის ორგანიზაციის უახლეს ფორმებს, ვაღწევდეთ სამუშაოთა ყოველმხრივ მექანიზაციას, პროგრესული მასალების დანერგვას. ახალი ხუთწლედის პირველმა წელმა დასაბამი უნდა მისცეს ჩვენს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის ყოველწლიური გეგმების უთუოდ შესრულებას.

მოპოვებულია წარმატებანი ტრანსპორტის მუშაობაში. ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა ვადამდე, 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, შეასრულა ტვირთბრუნვის ხუთწლიანი დავალება. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

წარმატებით ახორციელებენ სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვას რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები, რომელთა ტვირთბრუნვა ხუთწლედის მანძილზე 50 პროცენტით გაიზარდა. კარგი მაჩვენებლები აქვთ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოსა და საქართველოს საზღვაო ნაოსნობის კოლექტივებს.

უნდა მივაღწიოთ კიდევ უფრო მეტ სიზუსტესა და ოპერატიულობას ტრანსპორტის მუშაობაში, ავამაღლოთ მომსახურების კულტურა, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი ტვირთზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაზე.

განვლილ ხუთწლედში 60 პროცენტით და მეტად გაიზარდა კავშირგაბმულობის ძირითადი ფონდები. კიდევ უფრო განვითარდა საქალაქთაშორისო სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა, საფოსტო კავშირგაბმულობა. ერთიორად გაიზარდა საქალაქო სატელეფონო სადგურების სიმძლავრე.

მაგრამ სატელეფონო კავშირგაბმულობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, რაც, ბუნებრივია, იწვევს სავსებით კანონიერ სამდურავს. ამ ბოლო დროს განხორციელდა გარკვეული ღონისძიებანი, მაგრამ ეს აშკარად არ არის საკმარისი. ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ, რომ კავშირგაბმულობის სამინისტრო და თბილისის საქალაქო სატელეფონო სადგური ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მიაღწიონ მყარ, ნორმალურ სატელეფონო კავშირგაბმულობას.

მთავრდება ახალი, მეცხრე ხუთწლედის მეორე თვე. იანვარში სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა რესპუბლიკაში მხოლოდ 100 პროცენტით შესრულდა, სამრეწველო წარმოების ზრდამ კი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 104 პროცენტი. უნდა ითქვას, რომ მეცხრე ხუთწლედის ასეთი სტარტი ვერ დაგვაკმაყოფილებს. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, რომ უკეთ დაგვეწყო და კიდევაც უნდა დაგვეწყო უკეთ ახალი სამეურნეო წელი. ამიტომ ახლა ამოცანა ის არის, რომ დავაჩქაროთ ტემპები, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულმა საწარმომ, თვითეულმა მშენებლობამ, ყველა სამრეწველო კოლექტივმა აიღოს საჭირო რიტმი და უზრუ-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

# ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

(გაგრძელება)

[illegible] ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, მიაღწიონ შეჯიბრების ქმედითობას, ეფექტიანობას, მისი შედეგების ფართო საჯაროობას, გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, გახადონ იგი ფართო მასების კუთვნილება.

მშრომელთა ნებით 17 აპრილს გაიმართება კომუნისტური შაბათობა. გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ შაბათობაზე გამოვა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი, რომ ყველა ადამიანი მიიღებს ამ დღეს აქტიურ მონაწილეობას საერთო, კოლექტიურ შრომაში.

მრეწველობისა და მშენებლობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლის ავანგარდშია ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი. ამ ბოლო წლების მანძილზე ამაღლდა მისი ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური და კულტურული დონე. ახლა მუშათა ნახევარზე მეტს აქვს საშუალო განათლება და მაღალი კვალიფიკაცია. თანამედროვე საბჭოთა მუშა — ეს არის მრავალმხრივი ცოდნის, ფართო ჰორიზონტის, მაღალი პროფესიული ოსტატობის ადამიანი.

**ეჭვი არ არის, რომ ახალ ხუთწლედში საქართველოს მუშათა კლასი შეიტანს თავის ღირსეულ წვლილს მრეწველობის შემდგომ აღმავლობაში, მიაღწევს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ინდუსტრიული ბაზის გაფართოებასა და სრულყოფას, წარმოების ტექნიკური დონისა და ეფექტიანობის ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას.**

## განვავითაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, განვამტკიცოთ საზოგადოებრივი მეურნეობა

ამხანაგებო!

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის საანგარიშო პერიოდში მიზნად ისახავდა სკკპ XXIII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის, მომდევნო პლენუმებისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

აღებული იყო საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველი ღონისძიებით განვითარების ძირითადი კურსი. გრძელდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი სპეციალიზაცია.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიზანდასახული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქტების წარმოება.

მაგალითად, 1966-1970 წლებში წინა ხუთწლეულთან შედარებით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების საშუალოწლიურმა მატებამ შეადგინა 31 პროცენტი, ყურძნისა — თითქმის 52, ხილისა — 53, ციტრუსებისა — 34, ბოსტნეულისა — 21, კარტოფილისა — 14, ხორცის და რძისა — 8 პროცენტი, კვერცხისა — 26 პროცენტზე მეტი.

ამის მეოხებით რესპუბლიკამ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ბევრი პროდუქტის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა.

როგორც ვიცით, პარტიამ და მთავრობამ დასახეს მეჩაიეობის შემდგომი განვითარების დიდი ამოცანები.

საქართველოს მეჩაიეებმა პირნათლად შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის ხუთწლიანი დავალება. განსაკუთრებით კარგად იშრომეს მათ გასულ წელს, როცა გადამამუშავებელმა მრეწველობამ მიიღო თითქმის 259 ათასი ტონა ხარისხოვანი ნედლეული გეგმით გათვალისწინებული 225 ათასი ტონის ნაცვლად. გვახარებს ის გარემოება, რომ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შეასრულა რესპუბლიკის ყველა რაიონმა და თითქმის ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ.

უნდა აღინიშნოს, რომ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს „საქართველოს“ მარკის ჩაის საკრეფი მანქანებით მოკრეფილია 20 ათას ტონაზე მეტი ნედლეული — ხუთჯერ მეტი, ვიდრე 1965 წელს.

საქართველოს ჩაის ფაბრიკებმა შეუფერხებლად მიიღეს და გადაამუშავეს მთელი ნედლეული, ამასთან განუხრელად ადიდებდნენ მზა პროდუქციის გამოსავლიანობასა და ხარისხს.

უახლოეს წლებში კიდევ უფრო უნდა გავადიდოთ ჩაის ფოთლის წარმოება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი. ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით დასახულია ჩაის წარმოება 1975 წელს გავადიდოთ 272 ათას ტონამდე. ალბათ ჩვენი მეჩაიეები იმსჯელებენ, აწონ-დაწონიან და იკისრებენ ვალდებულებას 1975 წელს მისცენ სამშობლოს, საბჭოთა ხალხს სულ ცოტა 300 ათასი ტონა ჩაი, ხოლო მექანიზებული კრეფა გაადიდონ 40-50 ათას ტონამდე.

უნდა გამოვიყენოთ ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გამოცდილება და ყოველი ღონისძიებით დავნერგოთ კომპლექსური მექანიზაცია მეჩაიეობაში. ამასთან დაკავშირებით ბევრ რამეს მოველით საბჭოთა კავშირის სამთო სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისაგან, რომელიც ახლახან შეიქმნა.

დიდი მუშაობა უნდა გასწიონ აგრეთვე ჩაის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის ამაღლებისა და მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტმა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტმა.

ბევრი რაიონის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მევენახეობასა და მებაღეობას. ხუთწლედის წლებში გაშენდა 50 ათას ჰექტარზე მეტი მრავალწლიანი ნარგავები. ყურძნისა და ხილის წარმოების ხუთწლიანი გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა. 1970 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 392 ათასი ტონა ყურძენი და 177 ათასი ტონა ხილი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ზესტაფონის მევენახეებმა, აგრეთვე გორის, ცხინვალის, ახალციხისა და სხვა რაიონების მეხილეებმა.

ჩვენ კვლავაც უნდა განვავითაროთ ეს დარგები, როგორც საზოგადოებრივ მეურნეობათა შემოსავლის საფუძველი, გავადიდოთ სოფლის მეურნეობის ამ პროდუქტების მოსავლიანობა და შევამციროთ მათი წარმოების თვითღირებულება. ახალ ხუთწლედში რესპუბლიკაში უნდა გაშენდეს 20 ათასი ჰექტარი ვენახები და 25 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღები. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავადიდოთ ღვინის ქარხნების სიმძლავრენი, რათა მრეწველობამ შეუფერხებლად გადაამუშაოს მთელი შემოსული ყურძენი.

ჩვენში დიდი ყურადღება ეთმობა ციტრუსოვანთა და დაფნის ფოთლის წარმოებას. რესპუბლიკამ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსოვანთა დამზადების ხუთწლიანი დავალება. 1970 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 83 ათასი ტონა ნაყოფი. განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოიყვანეს საიუბილეო წელს აჭარის მეციტრუსეებმა, დაამზადეს თითქმის 59 ათასი ტონა ციტრუსები. კარგად იშრომეს აგრეთვე აფხაზეთისა და მახარაძის რაიონის მეციტრუსეებმა.

სამწუხაროდ, სუბტროპიკულ ზონაში ჩვენ გვაქვს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც წლითიწლობით ვერ ასრულებენ დამზადების, აგრეთვე ციტრუსოვანთა ნარგავების გაშენების გეგმებს.

ამ ბოლო ხანს განხორციელდა დიდი მუშაობა ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების გადიდებისათვის. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამ პროდუქტებით ქალაქების მოსახლეობისა და კურორტების მომარაგება. შარშან დამზადდა 155 ათასი ტონა სხვადასხვა ბოსტნეული და 68 ათასი ტონა კარტოფილი, რაც ბევრად აღემატება საგეგმო დავალებას. შემდგომშიც უნდა გავზარდოთ ამ მეტად საჭირო პროდუქტების წარმოება, კარგად მოვაგვაროთ მეთესლეობა, გავაფართოოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის საცავების ქსელი, შევქმნათ მძლავრი სამაცივრო მეურნეობა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ყველაზე ჩამორჩენილია მეთამბაქოობა და ეთერზეთოვანი ნედლეულის წარმოება. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ ვერც ერთხელ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის გეგმა. ცხაკაიას, აბაშისა და ზოგიერთი სხვა რაიონი ვერ ასრულებენ ეთერზეთოვანი ნედლეულის დამზადების დავალებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის ამ დარგების ჩამორჩენის დაძლევას. საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, კვების მრეწველობის სამინისტროებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ამ დარგების განვითარებას და უახლოეს ხანში მკვეთრად გაადიდონ თამბაქოსა და ეთერზეთოვანი ნედლეულის წარმოება.

რესპუბლიკა ყოველწლიურად ასრულებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმას. მაგრამ მარცვლეულის მოსავლიანობა ჩვენში უაღრესად მცირეა. ისეთი რაიონები, როგორიცაა ბოლნისის, კასპის, ქარელის, თეთრიწყაროს, გეგეჭკორის, წყალტუბოსა და ზოგიერთი სხვა რაიონი, სუსტად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს და მთელი რიგი წლების მანძილზე საშუალოდ ჰექტარზე იღებენ მხოლოდ 11-12 ცენტნერ მარცვლეულს. მთლიანად რესპუბლიკაშიც ვიღებთ ძალიან ცოტას — საშუალოდ 15 ცენტნერ მარცვლეულს ჰექტარზე.

მარცვლეულის ასეთი მოსავლიანობა ვერ დაგვაკმაყოფილებს, რადგან მეცხოველეობისა და მეფრინველეობის შემდგომი განვითარების მთავარი პრობლემა იყო და არის მარცვლეულის წარმოების გადიდების პრობლემა. აი რატომ არის საჭირო ყველაფერი ვიღონოთ, რათა მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ავიყვანოთ ჰექტარზე 20 ცენტნერამდე მაინც, ხოლო მარცვლეულის ყოველწლიური წარმოება — 1 მილიონ ტონამდე.

საანგარიშო პერიოდში დაისახა საზოგადოებრივი მეცხოველეობის ერთგვარი აღმავლობა, გაუმჯობესდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, გაიზარდა მისი პროდუქტიულობა. ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარდა 57 ათასი ტონა ხორცი, 42 ათასი ტონა რძე, 25 მილიონზე მეტი კვერცხი, ორი ათას ტონამდე მატყლი და ბევრი სხვა პროდუქტი და ნედლეული.

ამასთან ერთად, მეცხოველეობა კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო წარმოების წამყვან დარგებს. კვლავინდებურად მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ადგილი აქვს პირუტყვის გაწყდომას, დიდი რაოდენობით ყიდიან დაბალი კონდიციის პირუტყვს. ბევრ მეურნეობაში მაღალია პროდუქციის თვითღირებულება, დაბალია შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონე. პირუტყვი უზრუნველყოფილი არ არის საკუთარი წარმოების საკვებით.

ძალიან დაბალია წველადობა რესპუბლიკაში, საშუალოდ იგი შეადგენს მხოლოდ 1.233 კილოგრამს. კიდევ უფრო ნაკლებს წველიან საფურაჟე ძროხაზე სიღნაღის, საგარეჯოს, დუშეთის, თიანეთის, ასპინძის, ლენინგორის, ცაგერის, ლენტეხის, გეგეჭკორისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში ძირეული გარდატეხის მისაღწევად უნდა განვაგრძოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის სუქების, რძის წარმოების კომპლექსების მშენებლობა. კვლავაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ მეფრინველეობის განვითარებას, დავაჩქაროთ მეფრინველეობის ისეთი დიდი ფაბრიკების მშენებლობა, როგორიც არის კოდის, გორის, გამარჯვებისა და სხვა მეფრინველეობის ფაბრიკები, გავაფართოოთ არსებულ საწარმოთა სიმძლავრენი, რათა 1975 წლისათვის საზოგადოებრივ მეურნეობაში ფრინველის ხორცის წარმოება გავადიდოთ 20 ათას ტონამდე, კვერცხისა — ნახევარ მილიარდ ცალამდე. სხვათა შორის, ჩვენ გვაქვს რეალური შესაძლებლობა დაწესებულ ვადაზე ადრე მივაღწიოთ ამას.

საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა გავაჩაღოთ ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შემდგომი ზრდისათვის, მათი პროდუქტიულობის გადიდებისათვის, მივაღწიოთ საკვები ბაზის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ვეტერინარული მომსახურება, ავამაღლოთ ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონე.

როგორც ცნობილია, მიწის სიმდიდრის შენარჩუნებასა და დაგროვებაში დიდ როლს ასრულებს ტყე. სატყეო მეურნეობის მუშაკებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ ბოლო წლებში, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთონ ტყის შენარჩუნებისა და გაშენებისათვის.

ფრიად სასარგებლო მუშაობას ასრულებს ამ მხრივ რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოება „ბუნების მეგობარი“. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ადამიანი იღებდეს აქტიურ მონაწილეობას ამ საზოგადოების მუშაობაში, დღენიადაგ ზრუნავდეს ბუნების დაცვისა და ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეების გამრავლებისათვის.

ძალიან კარგი ინიციატივა გამოიჩინეს რესპუბლიკის მშრომელებმა, რომ გადაწყვიტეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად დაირგოთ 50 მილიონი ხე. ამ მხრივ უკვე ბევრი რამ გაკეთდა, და საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ვალდებულება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება.

საანგარიშო პერიოდში 28 პროცენტით გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ენერგეტიკული სიმძლავრენი და 22 პროცენტით — ყოველი ცალკეული მუშაკის ენერგოაღჭურვილობა.

მაგრამ მექანიზაციის საერთო დონე ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი არ არის, ნაკლებად იყენებენ მანქანებსა და მექანიზმებს მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისას, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორიც არის მებოსტნეობა, მეთამბაქოობა, აგრეთვე მეცხოველეობაში. გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ უნდა გააუმჯობესოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფა ყოველივე იმით, რაც საჭიროა, რათა წარმატებით შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის ამოცანები.

საჭიროა გავაძლიეროთ კონტროლი და ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაცულობისა და მისდამი ფრთხილი დამოკიდებულებისათვის.

ხუთწლეულში დიდი მუშაობა განხორციელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ამ ხნის მანძილზე საექსპლოატაციოდ არის გადაცემული ახალი სარწყავი მიწები 45 ათას ჰექტარზე. სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოქცეული 44 ათას ჰექტარზე მეტი დაშრობილი მიწა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა, კოლხიდის დაბლობის მიწების ათვისება. ხუთწლედის დამლევისათვის სარწყავი მიწების ფართობი გაიზრდება 70 ათასი ჰექტარით და მიაღწევს 410 ათასამდე ჰექტარს, ამოშრობილი მიწები კი გაიზრდება 50 ათასი ჰექტარით. ყველაფერი უნდა ვიღონოთ კაპიტალდაბანდებათა დროულად ათვისებისათვის, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მთლიანად ავითვისოთ მთელი დაშრობილი მიწები.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწების რაციონალურ გამოყენებას. სწორედ ამით ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ეს საკითხი რომ განიხილა პლენუმზე 1970 წლის აპრილში. ამოცანა ის არის, რომ არ დავუშვათ მიწების განიავება, გამოვიყენოთ ისინი დანიშნულებისამებრ. უზრუნველვყოთ მიწის კანონისა და მიწათსარგებლობის წესების განუხრელი დაცვა. ადამიანი, რომელიც ანიავებს მიწას, სჩადის არანაკლებ დანაშაულს, ვიდრე სახელმწიფო სახსრების დამტაცებელი.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეკონომიური მუშაობა სოფლად. წინა წლებთან შედარებით კოლმეურნეობათა საშუალოწლიური საერთო შემოსავალი გაიზარდა 25 პროცენტით და მეტად. ზარალიან მეურნეობათა რიცხვი, განხორციელებული ღონისძიებებისა და შესასყიდი ფასების მოწესრიგების მეოხებით 1969 წლის 466-დან 1970 წელს 131-მდე შემცირდა.

ეკონომიურად მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც უკვე დიდი ხანია სამეურნეო წელს მოგებით ამთავრებენ. განვლილ წლებში საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების საერთო პროდუქცია გაიზარდა 80 მილიონი მანეთით და მეტად.

მაგრამ მთელ რიგ სახელმწიფო მეურნეობებში ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ წარმოების ძირითად საშუალებებს, დაბალია მისი ეფექტიანობა, ირღვევა შრომის დისციპლინა. ამის შედეგად გასული წლის დამლევისათვის 62 საბჭოთა მეურნეობა არარენტაბელური აღმოჩნდა. სიღნაღის რაიონის წნორის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ ხუთწლედი დაამთავრა 800 ათას მანეთზე მეტი ზარალით, ახალქალაქის რაიონის სულდის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობამ კი — 700 ათას მანეთზე მეტი ზარალით.

ყოველივე ეს საბჭოთა მეურნეობების დირექციის ცუდი მუშაობის, რაიონული პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების სუსტი ხელმძღვანელობის შედეგია.

უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ წარმოების არსებული რეზერვები, უკეთ მოვაწყოთ შრომა, გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მტკიცედ დავიცვათ მომჭირნეობის რეჟიმი და საფინანსო დისციპლინა.

სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ ეკონომიური მუშაობა სოფლად, მაქსიმალურად გამოიყენონ მატერიალური და მორალური სტიმულირების ყველა ფორმა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა უახლოეს დროში აღმოვფხვრათ ზარალიანობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში, გადავაქციოთ ისინი მაღალრენტაბელურ მეურნეობებად, საბჭოთა მეურნეობების წარმოება დავაყენოთ სამრეწველო საფუძველზე.

მატერიალური სახსრების კოოპერირების ბაზაზე არსებულ შესაძლებლობათა უკეთ გამოყენებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებანი, რომლებიც ყოველწლიურად აძლიერებენ წარმოების ტემპს და იღებენ მნიშვნელოვან მოგებას. ამის თაობაზე ჩვენ ვესაუბრეთ რაიკომების მდივნებს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, შევკრიბეთ ისინი გორში, სადაც გაეცნენ ამ საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანების მუშაობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმე ჯეროვნად ვერ გავრცელდა. ჩვენ არ ვაძალებთ, მაგრამ იქ, სადაც არის პირობები და სადაც ამას შეუძლია მოგვცეს სასურველი შედეგი, კვლავაც უნდა განვავითაროთ საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო კავშირი.

სოფლის მეურნეობის დარგში რესპუბლიკის მიერ მოპოვებული ყველა წარმატება ჩვენი შესანიშნავი კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა მეურნეობების მუშების დიდი გარჯის შედეგია, რომლებიც გულმოდგინედ და ბეჯითად ეუფლებიან მოწინავე აგროტექნიკურ მეცნიერებას, ნერგავენ უხვი მოსავლის [illegible] გამოცდილებას.

„სოფლის მეურნეობა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის [illegible] პლენუმზე, — ისეთი დარგია, [illegible] მხოლოდ საერთო მეცადინეობით... ჩვენ დროში არავის არა აქვს უფლება განზე გაუდგეს ისეთი დიდი სახალხო-სამეურნეო, პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი აღმავლობა“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის შემდეგ მნიშვნელოვნად გაძლიერდა სოფლისადმი ქალაქის კონკრეტული დახმარება. აქ უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ თბილისის საავიაციო ქარხანა, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გააკეთა სართიჭალის საბჭოთა მეურნეობისათვის. სოფლის მეურნეობის მშრომელებს დიდ და მრავალფეროვან დახმარებას უწევენ „თბილისგვირაბმშენი“ და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო საწარმოები.

პროექტი სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სახავს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ახალ, უფრო დიდ ამოცანებს. ეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ავალებს აამოქმედონ არსებული რეზერვები, ყოველი ღონისძიებით გაადიდონ მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება.

**ეჭვი არ არის, რომ ახალ ხუთწლედში კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობების მუშები, საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი ღირსეულ წვლილს შეიტანენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ აღმავლობაში, უფრო სრულად დააკმაყოფილებენ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე და მრეწველობისას — ნედლეულზე.**

• • •

ამხანაგებო!

სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი საგეგმო და საფინანსო ორგანოების ზუსტ ოპერატიულ მუშაობაზე.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, რესპუბლიკის ყველა საგეგმო ორგანო ძირითადად ასრულებენ დასახულ ამოცანებს. კარგად არის შემუშავებული 1971 წლისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმა, ამხანაგები ახლა მუშაობენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შედგენაზე. შემუშავებულია 1971-1980 წლებისათვის რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების გენერალური სქემა, რომელშიც გათვალისწინებულია შრომითი რესურსების რაც შეიძლება სრულად გამოყენება.

დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისას უნდა გავითვალისწინოთ შრომითი რესურსების ბალანსის დაძაბულობა თბილისსა და რუსთავში. შემდგომში შესაძლოა თავი უნდა შევიკავოთ ამ ქალაქებში ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობისაგან, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ თბილისიდან გავიტანოთ მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები და ამავე დროს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში შევქმნათ ქალაქში არსებული საწარმოების ფილიალები.

ჩვენი საგეგმო ორგანოები, სამინისტროები და უწყებები მოვალენი არიან უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო დაგეგმვის სწორი შეხამება საწარმოთა ფართო სამეურნეო ინიციატივასთან. საჭიროა ავამაღლოთ მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების მეცნიერული დონე.

საფინანსო ორგანოებმა ხუთწლედში მთლიანად უზრუნველყვეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება და სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსება. მაგრამ ზოგიერთ საწარმოს და ცალკეულ სამინისტროებსაც კი, როგორც მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის სასოფლო მშენებლობისა და სხვა სამინისტროები, არ შეუსრულებიათ თავიანთი ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე. საფინანსო ორგანოებმა უფრო ღრმად უნდა შეისწავლონ იმის მიზეზები, თუ რატომ არ სრულდება ბიუჯეტის გადასახდელების გეგმები, სისტემატური კონტროლი გაუწიონ საფინანსო დისციპლინის დაცვას საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ყველას მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ფინანსური დისციპლინის უმცირესი დარღვევაც კი უარყოფით გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ წარმართვაზე.

განვლილ ხუთწლედში ბევრი რამ გაკეთდა მართვის აპარატის სრულყოფისა და გაიაფებისათვის. ლიკვიდირებულია ზედმეტი რგოლები, უფრო მოქნილი გახდა სახალხო მეურნეობის მართვა. საჭიროა ეს მუშაობა განვაგრძოთ.

სამეურნეო რეფორმის დანერგვით მნიშვნელოვნად იზრდება საკრედიტო დაწესებულებათა როლი. სსრ კავშირის სახბანკისა და მშენბანკის რესპუბლიკურმა კანტორებმა, მათმა ადგილობრივმა განყოფილებებმა უნდა გააძლიერონ ეკონომიური მუშაობა, უფრო ღრმად გაუკეთონ ანალიზი საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო მაჩვენებლებს, უფრო აქტიური ზეგავლენა მოახდინონ ეკონომიკაზე საკრედიტო სანქციებით. მანეთით კონტროლი მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში უნდა გახდეს მთელი ჩვენი ეკონომიური საქმიანობის გაუმჯობესების ქმედითი საშუალება.

## უზრუნველვყოთ მშრომელთა ცხოვრების დონის ახალი, არსებითი ამაღლება

ამხანაგებო!

კომუნისტურ პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია დაუცხრომლად იზრუნოს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის. გასულ ხუთწლედში გადაჭარბებით შესრულებულია სკკპ XXIII ყრილობის მიერ დადგენილი ძირითადი დავალებანი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ.

უფრო სრულად კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილებანი კვების პროდუქტებსა და ფართო მოხმარების საქონელზე. დიდ წარმატებებს მიაღწიეს კვებისა და რძე-ხორცის მრეწველობის მუშაკებმა. მუშაობა გააუმჯობესა „საქკონსერვხილბოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტმა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის დავალებანი გადაჭარბებით სრულდება, თუმცა ხშირად არ სრულდება ასორტიმენტის გეგმა, რაც შეფერხებას იწვევს ზოგიერთი სახეობის პროდუქტებით ვაჭრობაში.

ხუთწლეულში რესპუბლიკამ გამოუშვა 400-ზე მეტი ახალი სახეობის სახალხო მოხმარების საქონელი. ამასთან მოსახლეობის მოთხოვნილება ამ საქონელზე ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება, შეკერილი, საფეიქრო, ფეხსაცმლის მრეწველობის ბევრი ნაწარმი გამოდის მომხმარებლის გაზრდილი მოთხოვნებისა და გემოვნების გაუთვალისწინებლად. მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის ნაწარმის ასორტიმენტის გეგმა არ სრულდება.

ჩვენ რაც შეიძლება უფრო სრულად უნდა დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება ფართო მოხმარების საქონელზე. ამ მიზნით უნდა შევიმუშაოთ მთელი რიგი ღონისძიებანი სახალხო მოხმარების საქონლის დამატებით გამოშვებისათვის და ამისათვის ყველა შესაძლებლობა გვაქვს.

განხორციელებულია კარგი ღონისძიებანი საბჭოთა ვაჭრობის განვითარებისათვის. ხუთწლედში საქონელბრუნვა რესპუბლიკაში გაიზარდა 52,3 პროცენტით. წინა ხუთ წელთან შედარებით გაყიდულია მეტი: შეკერილი ნაწარმი თითქმის 80 პროცენტით, ტრიკოტაჟის ნაწარმი — ერთიორად და უფრო მეტი, ფეხსაცმელი — 64 პროცენტით, ავეჯი — 75 პროცენტით, ტელევიზორი — 73 პროცენტით, საოჯახო მაცივარი — თითქმის ორნახევარჯერ მეტი.

ბევრად გააუმჯობესა სოფლის მოსახლეობის მომარაგება სამომხმარებლო საზოგადოებათა რესპუბლიკურმა კავშირმა — „ცეკავშირმა“. საქონელბრუნვა სოფლად გაიზარდა 63 პროცენტით. ახლა შორეული რაიონებისა და მთის საძოვრების მცხოვრებლებსაც კი ადგილზე შეუძლიათ შეიძინონ პირველი საჭიროების სხვადასხვა საქონელი.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქალაქად და სოფლად. აშენდა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ათასობით კეთილმოწყობილი საწარმო, საწყობი, მაცივარი.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოვიპოვეთ ამ ბოლო წლებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

# ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

(გაგრძელება)

მხრივ. ხუთწლედში საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა 2,2-ჯერ, სოფლად — 3-ჯერ და უფრო მეტად. გაიზარდა ქიმწმენდის, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შემკეთებელი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვის მსხვილ საწარმოთა რიცხვი, დაინერგა ბევრი ახალი სახეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. ქალაქ თბილისის მშრომელებისათვის კარგი საჩუქარი იყო ამას წინათ გახსნილი საყოფაცხოვრებო სახლი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ჩვენს ქვეყანაში.

ამასთან ერთად ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს უწინარეს ყოვლისა არის ჯერ კიდევ სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ვაჭრობისა და მომსახურების არცთუ მაღალი კულტურა. ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებმა „ცეკავშირმა“, ადგილობრივმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა ყოველდღიურად უნდა შეისწავლონ ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების მუშაკთა აღზრდის საკითხები, აამაღლონ მათი კვალიფიკაცია. ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში უფრო მეტად უნდა ჩავაბათ ქალები და ახალგაზრდობა, უფრო თამამად დავაწინაუროთ ისინი ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

მტკიცედ უნდა ვიბრძოლოთ საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ, უფრო მკაცრად მოვკითხოთ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ვალდებული არიან სათანადო წესრიგი უზრუნველყონ თავიანთ უბნებზე.

გასული წლის ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი რესპუბლიკის მუშათა დაბებსა და სამრეწველო ცენტრებში ვაჭრობის, მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და სერიოზული ნაკლოვანებანი აღინიშნა ამ საქმეში.

საჭიროა მკვეთრად გავაუმჯობესოთ სავაჭრო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება ქალაქად და სოფლად, ფართოდ დავნერგოთ მოსახლეობის მომსახურების ახალი, პროგრესული ფორმები და სახეობანი.

ვაჭრობამ უნდა უზრუნველყოს ადამიანები ყოველივე ხუცილებლით. ყოფაცხოვრების სამსახური უნდა გახდეს მსხვილი მექანიზებული დარგი.

ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ განვითარებას პარტიული და საბჭოთა ორგანოები უნდა მოეკიდონ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს.

ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ადამიანთა მოთხოვნილება, მათი მოთხოვნები იზრდება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად.

ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელთა შემოსავალი. რესპუბლიკის მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი ხუთი წლის განმავლობაში თითქმის 23 პროცენტით გაიზარდა. თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ აგრეთვე სხვადასხვა დახმარებასა და შეღავათებს, რომლებსაც მოსახლეობა იღებს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან, ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის ზრდა კიდევ უფრო დიდი იქნება. ამასვე უნდა მივაკუთვნოთ დახმარება სოციალური უზრუნველყოფის ხაზით. რესპუბლიკაში პენსია გაუდიდდა დიდი სამამულო ომის 28 ათასზე მეტ ინვალიდს, 24 ათას კოლმეურნეს, ათასობით სხვა კატეგორიების ინვალიდებს. ამჟამად საქართველოში სხვადასხვა სახის სოციალური უზრუნველყოფით სარგებლობს 832 ათასი კაცი. მისი საჭიროებისათვის ასიგნობანი შეადგენენ რესპუბლიკის ბიუჯეტის გასავლის დაახლოებით 14 პროცენტს.

მაგრამ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობაში, როგორც თვით სამინისტროში, ისევე მის საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში, არის სერიოზული ნაკლოვანებანი. არის პენსიების არასწორად დანიშვნის შემთხვევები, იმ პირთა მიერ საქმის გაჭიანურებების, პენსიონერებისადმი უსულგულო დამოკიდებულებისა და ბოროტმოქმედების ფაქტებიც კი, რომლებიც უნდა იცავდნენ მათს ინტერესებს. სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი და ხარვეზები და გამოიჩინონ მეტი მზრუნველობა პენსიონერებზე.

დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენში ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას. გასულ წლებში გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი ასიგნობანი, აშენდა ბევრი ახალი სამედიცინო დაწესებულება. ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას მედიცინის 80 ათასამდე მუშაკი.

მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ჯანმრთელობის დაცვის დარგში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. სამწუხაროდ, მთელ რიგ სამედიცინო დაწესებულებებში დაბალია ავადმყოფთა მომსახურების კულტურა, არის პროფესიული მოვალეობის შესრულებისადმი მედიცინის მუშაკთა ფორმალური დამოკიდებულების შემთხვევები და, ჩვენდა სამარცხვინოდ, გამოძალვის ფაქტებსაც კი ვხვდებით. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა თვითეული ექიმის მორალური სახე სავსებით შეესაბამებოდეს მის მაღალ, კეთილშობილურ მისიას.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გადაჭრით უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში, გაგზავნოს ექიმები იმ რაიონებში, სადაც აკლიათ, სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობა აიყვანონ ახალ, უფრო მაღალ დონეზე.

წლითიწლობით სულ უფრო ვითარდება ჩვენში საკურორტო საქმე. საანგარიშო პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა ჯანმრთელობის ახალი კერები, მათ შორის ბიჭვინთის თითქმის 3-ათასადგილიანი საკურორტო კომპლექსი, ბორჯომის 200-ადგილიანი პანსიონატი და დასასვენებელი სახლი, გაგრის 250-ადგილიანი პანსიონატი, აგრეთვე სხვა ობიექტები.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ გააუმჯობესონ მშრომელთა საკურორტო მომსახურება, უფრო ფართოდ გამოიყენონ ჩვენი რესპუბლიკის მდიდარი ბუნებრივ-კლიმატური პირობები ჯანმრთელობისა და დასვენების ახალი კერების შესაქმნელად.

რესპუბლიკაში ფართოდ ვითარდება ფიზკულტურული მოძრაობა. ფიზკულტურამ და სპორტმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. ჩვენს სპორტსმენებს არაერთხელ გაუმარჯვნიათ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანოებმა კვლავაც უნდა მიაღწიონ ფიზკულტურული მოძრაობის ნამდვილ მასობრიობას და სპორტული ოსტატობის ამაღლებას. ჩვენი სპორტსმენების ღირსების საქმეა ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩაატარონ რესპუბლიკური სპარტაკიადა და ღირსეული ადგილი დაიკავონ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე.

ამხანაგებო!

ზრუნავდე ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, ეს, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ნიშნავს უფრთხილდებოდე მის ღირსებას, მისი პიროვნების ხელშეუხებლობას, მის შრომასა და სიმშვიდეს. ამისათვის ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა. საკმარისია ითქვას, რომ ამ ბოლო წლებში სისხლის სამართლის დამნაშავეობას მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია აქვს. ქმედითი გახდა ბრძოლა დამტაცებლებისა და მექრთამეების წინააღმდეგ. ეს მიღწეულია იმის შედეგად, რომ პარტიულმა კომიტეტებმა, საქალაქო და რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობა. შინაგან საქმეთა სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები უფრო აქტიურად ებრძვიან დამნაშავეობას, უფრო ღრმად, კონკრეტულად მუშაობენ საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საკითხებზე.

გაკეთდა ბევრი რამ, მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა დატაცებისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, შევქმნათ ისეთი პირობები, რომ შეუძლებელი იყოს დატაცება, საბოლოოდ მოვუღოთ ბოლო მექრთამეობას, ყოველნაირად განვამტკიცოთ საზოგადოებრივი წესრიგი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

ყოველივე ამასთან ერთად კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა მით უფრო ეფექტიანი იქნება, რაც უკეთ აღმოვფხვრით მის მიზეზებს, რაც უფრო ქმედითი იქნება მთელი ჩვენი პროფილაქტიკური მუშაობა. ჩვენ გვესაჭიროება არა ფაქტების უბრალო რეგისტრაცია, არამედ შეტევითი ბრძოლა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ, რომელიც ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ ერთიანი ფრონტით, სასამართლოსთან, პროკურატურასთან, მილიციის მუშაკებთან ერთად, და ყოველთვის ახსოვდეთ, რომ ბრძოლა სოციალისტური მართლწესრიგის დამყარებისათვის — ეს არა მარტო ადმინისტრაციული ორგანოების, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის საქმეა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ღონისძიებები ადმინისტრაციული ორგანოების კადრების განმტკიცებისათვის. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა შინაგან საქმეთა სამინისტროებში, რესპუბლიკურ პროკურატურაში, ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებში გაგზავნეს ბევრი ახალგაზრდა, ინიციატივიანი კომუნისტი. ჩვენ კვლავაც მტკიცედ და თანმიმდევრულად უნდა განვახორციელოთ ეს ხაზი, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციული ორგანოების განმტკიცებას ენერგიული, საქმის ერთგული მუშაკებით.

ამხანაგებო!

პარტიას თავის უმაღლეს მიზნად მიაჩნია თავდადებულად ემსახუროს ხალხის ინტერესებს, იზრუნოს მისი კეთილდღეობისათვის, კულტურული და სულიერი ზრდისათვის.

ხალხის კეთილდღეობისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული პროექტი სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ეს ზრუნვა გამოხატულია ახალი ხუთწლედის მთავარი ეკონომიური ამოცანით — უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

**ეჭვი არ არის, რომ ახალ ხუთწლედში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოები, მსუბუქი და კვების მრეწველობის, საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები უზრუნველყოფენ მშრომელთა ცხოვრების დონის ახალ არსებითს ამაღლებას, გაადიდებენ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას, გააფართოებენ საბინაო მშენებლობას, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის სამუშაოებს, განახორციელებენ ღონისძიებებს ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, აამაღლებენ მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების კულტურას.**

ჩვენი პარტია კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებს მშრომელთა კეთილდღეობის რაც შეიძლება სრულად უზრუნველყოფისათვის, ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ყველა წევრის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

## წარვმართოთ იდეოლოგიური მუშაობა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად

ამხანაგებო!

საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური მუშაობა მიმდინარეობდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებისა და ჩატარების ნიშნით. ახალი გაქანება ჰპოვა იდეურ-პოლიტიკურმა მუშაობამ სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

ფორმები და მეთოდები გამდიდრდა იდეოლოგიური მუშაობისა, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები მჭიდროდ უკავშირებენ ცხოვრებას, უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პარტიული ორგანიზაციები პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას წარმართავენ ისე, რომ მშრომელები აღზარდონ მაღალი იდეურობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, კომუნისტური მორალისა და ზნეობის განუხრელი პრინციპების სულისკვეთებით, რომ გაადიდონ ფართო მასების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა.

მთელ ამ მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პოლიტიკური განათლების სისტემას, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო მასობრივი ხდება. წელს პარტიულ სწავლებაში ჩაბმულია 300 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის 200 ათასზე მეტი კომუნისტი. ეს ციფრები მოწმობენ მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა გაზრდილ ინტერესს პოლიტიკური სწავლებისადმი, საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების საკითხებისადმი.

უფრო მიზანდასახულად წარმოებს ხელმძღვანელი კადრების სწავლება. მათთვის შექმნილია პარტიულ-სამეურნეო აქტივის საქალაქო და რაიონული სკოლები, თეორიული სემინარები და ფაკულტეტები მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიული განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ქართულ ენაზე გამოცემულია ბევრი სახელმძღვანელო, მეთოდიკური და თვალსაჩინო სახელმძღვანელო. გადაწყვეტილია აშენდეს პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის ახალი შენობა.

ფართოდ გავრცელდა პარტიული პროპაგანდის მასობრივი ფორმები — ლენინური „უნივერსიტეტები, სახალხო სკოლები, კინოლექტორიუმები. ლექციური პროპაგანდის გაქანებას მოწმობს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში ყოველწლიურად იკითხება 300 ათასი ლექცია, ხორციელდება სხვა მასობრივი ღონისძიებანი. პოპულარული გახდა ლექციური პროპაგანდის ისეთი ფორმები, როგორიც არის საოქტომბრო და ლენინური კითხვები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გასავრცელებლად დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნა“.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებასთან ერთად პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს ზეპირი, პოლიტიკური ინფორმაციის გაუმჯობესებისათვის, რომელსაც ახლა ატარებს 80 ათასზე მეტი აგიტატორი, პოლიტინფორმატორი და მომხსენებელი.

მაგრამ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში, პოლიტიკური სწავლის ორგანიზაციაში, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლაში ურიგდება გარკვეულ ფორმალიზმს, პრაქტიკული ამოცანებისაგან მოწყვეტას. ჩვენი ლექტორებისა და მომხსენებლების ნაწილი სუსტად არის დაუფლებული რევოლუციური თეორიის პროპაგანდის აქტიურ ფორმებს, რის შედეგად მათი გამოსვლები ყოველთვის როდი შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს და ზოგჯერ ვერც კი აღწევენ დასახულ მიზანს.

საანგარიშო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით რესპუბლიკის სასოფლო რაიონებში. 1966-1970 წლებში გაიხსნა თითქმის 700 ახალი ბიბლიოთეკა 200-ზე მეტი კულტურის სახლი და კლუბი, 16 კინოთეატრი, ხუთი მუზეუმი.

კულტურის სამინისტროსა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ახლა საკმაო შესაძლებლობანი აქვთ იმისათვის, რომ უფრო სრულად აკმაყოფილებდნენ მშრომელთა კულტურულ მოთხოვნილებებს. მაგრამ ამ შესაძლებლობებს მთლიანად როდი იყენებენ. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, საქართველოს სასოფლო რაიონების მცხოვრებლები კინოსურათებს ათჯერ თუ ნახავენ წელიწადში, მაშინ როცა საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში სოფლის თვითეული მცხოვრები წელიწადში 17-ჯერ დადის კინოში.

პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახული დიდი პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტაში ბოლო დროს განუზომლად გაიზარდა ჩვენი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის როლი. ისინი მეტ ინიციატივას იჩენენ დიდმნიშვნელოვანი, აქტუალური საკითხების დაყენებაში, უფრო ღრმად სწავლობენ ცხოვრებისეულ მოვლენებს, ამაღლდა მათი ორგანიზატორული როლიც.

ეს სამწუხაროდ, ჯერ კიდევ როდი ეხება ყველა ჩვენს გაზეთსა და ჟურნალს. ზოგიერთი ჩვენი ბეჭდვითი ორგანო ჯერ კიდევ ზერელედ აშუქებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საკითხებს, ვერ სწვდება სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკას, სუსტად განაზოგადებს მოწინავე გამოცდილებას, საკმაოდ ღრმად ვერ ავლენს ნაკლოვანებებს, არ იღვწის თავისი გამოსვლების ქმედითობისათვის. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს საქალაქო და რაიონული გაზეთებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა.

პრესის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ზრუნვა ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ღრმა პარტიულობა, პრინციპულობა, ობიექტურობა, სიმართლე, სიზუსტე, გასაგები და ქმედითი მასალები — აი რა უნდა ახასიათებდეს ჩვენს პარტიულ, საბჭოთა პრესას. გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ შაბლონი და სქემატურობა, რომლებიც ზოგიერთი პრესის ორგანოში დამკვიდრდა, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დროზე აწვდიდნენ მასალებს, უფრო მკაფიოდ და საინტერესოდ წერდნენ ადამიანებზე, ჩვენი დროის გმირებზე, მათს ცხოვრებაზე, შრომასა და ყოფაზე, აშუქებდნენ იმ წვლილს, რომელიც მათ შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

იდეოლოგიური ზემოქმედების სხვა საშუალებებთან ერთად კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ინფორმაცია, რომელსაც ვიღებთ რადიოს და პირველ რიგში ტელევიზიის მეშვეობით. ჩვენში ყოველწლიურად იზრდება ტელემაყურებელთა რიცხვი. ისინი ინტერესით ნახულობენ მეტად შინაარსიან გადაცემებს, რომლებიც გამოირჩევიან მრავალფეროვნებით და დიდი შემეცნებითი ხასიათი აქვთ. განსაკუთრებით ნაყოფიერ გავლენას ახდენს ასეთი გადაცემები ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდაზე, ხელს უწყობს მისი შეხედულებებისა და გემოვნების ჩამოყალიბებას. ამიტომ ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებმა უფრო გულმოდგინედ უნდა აამაღლონ თავიანთი გადაცემების იდეური და მხატვრული დონე.

ამ ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი ტელევიზიისა და რადიოს ტექნიკური შესაძლებლობანი. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის 75 პროცენტზე მეტს შეუძლია ნახოს სატელევიზიო გადაცემები. თბილისი საბჭოთა კავშირის მესამე ქალაქია, სადაც არის ფერადი ტელევიზია. უკვე რამდენიმე დღეა თბილისის, რუსთავისა და ახლომდებარე რაიონების მცხოვრებნი უყურებენ ტელეგადაცემებს სამი პროგრამით.

საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ბევრი კარგი წიგნი გამოიცა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი გამომცემლობების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და გადაუჭრელი პრობლემები. ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს ლიტერატურის გამოშვების თემატური გეგმების შესრულება, განამტკიცოს სახელმწიფო დისციპლინა ცალკეულ გამომცემლობებში, აღმოფხვრას მათი ზარალიანობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ კონკრეტული ღონისძიებანი უნდა განახორციელონ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და პოლიგრაფიული ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ამხანაგებო!

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების თვენახევრის შემდეგ, ვ. ი. ლენინმა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი წერილში იმედი გამოთქვა, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი „შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობას პარტიული ორგანიზაციები იმისათვის წარმართავენ, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ მოძმე ხალხების ეს მჭიდრო კავშირი, მშრომელთა ეროვნული მშვიდობა და მეგობრობა, მონოლითური ერთიანობა და შეკავშირება, თანმიმდევრულად განახორციელონ ლენინური ეროვნული პოლიტიკა.

საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმობის მკაფიო დემონსტრაციაა მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება და მოწინავე გამოცდილების გაზიარება, მეცნიერული და კულტურული კავშირურთიერთობა, რომელიც სულ უფრო მტკიცდება, რასაც დამაჯერებლად მოწმობს მოსკოვის დღეები თბილისში, აზერბაიჯანისა და სომხეთის დღეები საქართველოში, ქართული მეცნიერების დღეები მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები საქართველოში, უკრაინული ლიტერატურის დღეები საქართველოში და ქართული ლიტერატურის დღეები უკრაინაში.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა კვლავაც ყოველნაირად უნდა განამტკიცონ ხალხთა მეგობრობა და ძმობა, თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ ჩვენი საზოგადოების ამ დიად საფუძველს, სრულყონ და გააღრმაონ მუშაობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისა და შეკავშირებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს თავიანთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მუდამ მიაჩნდათ და მიაჩნიათ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა, მისი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, კლასობრივი შეგნების გამომუშავება.

ჩვენი ახალგაზრდობისათვის ეწყობა შეხვედრები რევოლუციის ვეტერანებთან, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, შრომის გმირებთან, მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, საბჭოთა არმიის მეომრებთან, ეწყობა ლაშქრობები და ექსკურსიები რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაძლიერებას, მისი კავშირის განმტკიცებას ამიერკავკასიის სამხედრო და სასაზღვრო ოლქების ნაწილებთან. ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გასაწვევი და წვევამდელი ასაკის ახალგაზრდობის მომზადება საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება.

ამასთანავე არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ახალგაზრდობას შორის იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი. მთელ რიგ შემთხვევებში ამ მუშაობას ფორმალური ხასიათი აქვს, არ ითვალისწინებს ასაკის სპეციფიკურ თავისებურებებს და ამიტომ გულში ვერ სწვდება ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. ჩვენ დღენიადაგ უნდა ვამაღლებდეთ ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონეს, ვამდიდრებდეთ მის შინაარსსა და ფორმებს. კვლავაც უნდა ვაუმჯობესებდეთ სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, დღენიადაგ ვამზადებდეთ ჩვენს ახალგაზრდობას შეიარაღებულ ძალებში სამსახურისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს ყოველთვის განვიხილავდით და კვლავაც განვიხილავთ. შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს ამ საქმეში გვქონდეს რაღაც განსაკუთრებული, რთული პრობლემები, რომელთა გადაჭრა ვერაფრით ვერ მოგვიხერხებია. სინამდვილეში კი ამ საკითხებს იმიტომ ვუბრუნდებით და კვლავაც დავუბრუნდებით, რომ ახალგაზრდობა რაღაც უძრავი, უცვლელი რამ როდია. მისი შემადგენლობა მუდამ, განუწყვეტლივ იცვლება.

გუშინდელი ქალიშვილები და ჭაბუკები დღეს უკვე ზრდადასრულებული, დამოუკიდებელი ადამიანები არიან. ის ახალგაზრდობა, რომელზეც ჩვენ 15-17 წლის წინათ ვლაპარაკობდით საქართველოს კომპარტიის XVI, XVII ყრილობებზე, ახლა ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზეა, და ზოგიერთი იმ ქალიშვილთაგანი და ჭაბუკთაგანი დღეს ამ დარბაზში ზის და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატია. საგულისხმოა, რომ ჩვენი პარტიის ყრილობის დელეგატთა შორის 88 კაცი, ესე იგი 8 პროცენტზე მეტი, არის 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა.

გაივლის დრო, გაივლიან წლები, და ამ დარბაზში საქართველოს კომპარტიის მორიგ ყრილობაზე მოვა ის ახალგაზრდობა, რომლის აღზრდაზე დღეს ვლაპარაკობთ, და იმ ყრილობის დელეგატებს კვლავ შეაწუხებს იგივე საკითხები, მათ წინაშე დადგება იგივე ამოცანები — მოამზადონ უფროსი თაობის ღირსეული ცვლა, აღზარდონ ახალგაზრდობა საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, აღზარდონ იგი იდეურად გამოწრთობილი, მტკიცე, პარტიისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთგული, კომუნიზმის მტრებისადმი შეურიგებელი.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სავსებით კანონზომიერია, სავსებით ბუნებრივია, ეს მუდმივი განახლება წარმოადგენს თვით ცხოვრების დიალექტიკას, მისი განვითარების კანონს.

ერთხელ ვიღაცამ მეტად სწორად შენიშნა, ბუნების პიესები მუდამ ახალია, რადგან უცვლელად ჩნდებიან ახალი მაყურებლებიო. ბუნების და თვით ამ ცხოვრების პიესების ახალი მაყურებლები — სწორედ ეს არის ახალგაზრდობა, ის ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებისთვისაც თვითეული ცხოვრებისეული მოვლენა, თვითეული ამბავი მუდამ აღმოჩენაა, ეს ყოველთვის მათთვის ჯერ კიდევ შეუცნობელი სამყაროს შემეცნებაა.

სწორედ ამიტომ ჩვენ მოთმინებით და მტკიცედ უნდა ვუხელმძღვანელოთ ახალგაზრდობას, გამოვაწრთოთ, აღვზარდოთ იგი, გადავუშალოთ მატერიალური და სულიერი სამყაროს მთელი სიმდიდრე, მოვუწოდოთ უკეთესისათვის, წინ გავუძღვეთ.

ამიტომ არის, რომ პარტია, მთელი ჩვენი ხალხი ახალგაზრდობაში ხედავს ქვეყნის ხვალინდელ დღეს, მის ღირსებას, სიამაყესა და სიდიადეს. ამიტომ არის, რომ ვამბობთ, ახალგაზრდობა ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედია!

ამხანაგებო!

საანგარიშო პერიოდში დიდი ყურადღება დაეთმო სახალხო განათლების განვითარებას. პარტიული ორგანიზაციები იღვწიან სკოლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისათვის.

მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ახალმა სასწავლო პროგრამებმა, რომლებზეც გადადიან რესპუბლიკის სკოლები. სახალხო განათლების ორგანოები მოვალენი არიან დროზე და ორგანიზებულად განახორციელონ ეს გადასვლა.

სკოლა უნდა აიარაღებდეს მოსწავლეებს მეცნიერების საფუძველთა მტკიცე ცოდნით, ავითარებდეს მათ მატერიალისტურ მსოფლმხედველობასა და კომუნისტურ ზნეობას, ამზადებდეს ახალგაზრდობას ცხოვრებისათვის და სამშობლოს საკეთილდღეო შრომისათვის. ამ ამოცანას წყვეტს და წარმატებით უნდა გადაწყვიტოს ჩვენმა პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ, რომელსაც მასწავლებელთა 76-ათასიანი არმია ჰყავს. განათლების სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა აამაღლონ მასწავლებელთა პირადი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და დისციპლინისათვის, მიაღწიონ სწავლებისა და აღზრდის ორგანულ შეხამებას, ამასთან უნდა ახსოვდეთ, რომ ეს ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბების ერთიანი პროცესის ორი მხარეა.

მასწავლებელი სახალხო განათლების სისტემის ძირითადი, ცენტრალური ფიგურაა, ამიტომ პარტიული ორგანიზაციები მუდამ უნდა ზრუნავდნენ მასწავლებელთა კადრებისათვის, მათი პროფესიული მომზადებისათვის, იდეური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

როცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის ნაკლოვანებებზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსწავლეთა განთესვას. მაგალითად, პირველ კლასებში ჩარიცხული ყოველი 100 მოსწავლიდან საშუალოდ რესპუბლიკაში რვაწლიან

(გაგრძელება მე-5 გვერდზე).

# ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

(გაგრძელება)

სკოლას დადგენილ ვადაში ამთავრებს მხოლოდ 80 ბავშვი. ეს მონაცემები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. მოსწავლეთა დიდი განთესვაა ყაზბეგის, მარნეულის, თეთრი წყაროს რაიონებში. განათლების სამინისტრომ, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა გულდასმით უნდა გამოიკვლიონ ამ მოვლენის მიზეზები და ყველაფერი იღონონ მოსწავლეთა განთესვის ასაკვეთად.

ჩვენი ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, იგი ხალისით მიდის საწარმოებში, სოფლის მეურნეობაში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში. მერვე ხუთწლედში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებმა მოამზადეს და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სამუშაოდ გაგზავნეს 82 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. ამჟამად რესპუბლიკის 67 პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლობს 32 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლებიც 200 სპეციალობას ეუფლებიან.

მაღალკვალიფიციური კადრების ნამდვილ სამჭედლოდ გადაიქცნენ ჩვენი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სპეციალისტთა მომზადება. სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგებისათვის, რომელმაც საანგარიშო პერიოდში 111 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი მიიღო.

ახლა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 90 ათასამდე სტუდენტი, 1965 წელს კი 76 ათასი იყო. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი საშუალო სპეციალურ სასწავლებლებშიც.

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონე და შეიქმნას საჭირო პირობები უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. უმაღლეს სასწავლებლებში ახლა შექმნილია მოსამზადებელი განყოფილებანი.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აშენდა უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სუბტროპიკული მეურნეობისა და ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ახალი შენობები.

ზაფხულობით ათასობით სტუდენტი აქტიურად მონაწილეობდა მშენებლობაში ქალაქად და სოფლად, მოსავლის აღებაში და სხვა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეებში, და ყველგან კარგად შეაფასეს მათი მუშაობა.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობასთან დაკავშირებულ გადაუჭრელ ამოცანებს რომ ვეხებით, უწინარეს ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეები უზრუნველყოფილი არ არიან სახელმძღვანელოებით, განსაკუთრებით დედაენაზე. ნაკლოვანებებია სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვაში. რესპუბლიკის საგეგმო ორგანოებმა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უკეთ უნდა გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მოთხოვნილება სპეციალისტთა კადრებზე. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად უაღრესად საჭიროა კიდევ უფრო გავაფართოოთ უმაღლესი სასწავლებლების ლაბორატორიები და აღვჭურვოთ ისინი უახლესი ტექნიკით.

ამხანაგებო!

თანამედროვე ეპოქაში განუზომლად გაიზარდა მეცნიერების როლი, რომელიც სულ უფრო და უფრო ხდება უშუალოდ საწარმოო ძალა. ჩვენს რესპუბლიკაში გამოკვლევები ხორციელდება თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით დიდი წარმატებები გვაქვს მის ისეთ დარგებში, როგორიც არის მათემატიკა, ფიზიკა, ასტროფიზიკა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენს მეცნიერთა ჯგუფს მიენიჭა ლენინური პრემია ტრეკული ნაპერწკლოვანი კამერის შექმნისათვის, ქართველ გეოფიზიკოსთა ჯგუფს მიეკუთვნა სახელმწიფო პრემია სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შემუშავებისათვის.

ფართოდ არის აღიარებული საქართველოს მეცნიერთა ნაშრომები მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიც არის კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა და ტელემექანიკა, აგრეთვე გეოლოგიის, სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის დარგებში.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების კათედრებმა შეისწავლეს და დანერგეს სახალხო მეურნეობაში ასობით მეცნიერულ-კვლევითი ნამუშევარი, რამაც ხელი შეუწყო მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, მნიშვნელოვნად აამაღლა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. საჭიროა, რომ მომავალშიც უფრო სწრაფად ინერგებოდეს ცხოვრებაში, პრაქტიკაში ყოველივე, რაც იბადება სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში.

მეცნიერებას დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების გადაჭრაში. უკანასკნელ წლებში სამეცნიერო დაწესებულებანი ახორციელებდნენ კვლევას, რომლის მიზანია მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება, საკვები ბაზის განმტკიცება, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება და მისი პროდუქტიულობის ამაღლება. მიმდინარეობდა მუშაობა ბაღ-ვენახების გასაშენებლად მთის ფერდობების ათვისებისათვის, მუშავდებოდა მთის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის მანქანათა სისტემები. მეცნიერებს, რომლებმაც შექმნეს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო", ლენინური პრემია მიენიჭათ.

ამასთანავე მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მეცნიერული პრობლემების გადაჭრა ნელა მიმდინარეობს. ჯერ კიდევ არ არის გამონახული დაავადებებისა და მავნებლებისაგან მცენარეთა და ცხოველთა დაცვის საიმედო საშუალებანი. ამოცანა ის არის, რომ დავაჩქაროთ ამ პრობლემების გადაჭრა, ავამაღლოთ მეცნიერული რეკომენდაციების ეფექტიანობა და ყოველი ღონისძიებით დავნერგოთ ისინი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკაში.

საანგარიშო პერიოდში სერიოზული წარმატებებია მიღწეული საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში. გამოქვეყნდა ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომები ჩვენი პარტიის ისტორიის, ლენინიზმის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ქართულ ენაზე გამოვიდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის დამატებითი ტომები. მკითხველებმა მიიღეს პირველი ნაწილი „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევებისა", რომელიც აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პარტიის ისტორიის ინსტიტუტების ერთობლივი მუშაობის შედეგია. საქართველოს კომპარტიის მიერ 50 წლის მანძილზე განვლილი ისტორიული გზის შესწავლაში პარტიულ ორგანიზაციებს დიდ დახმარებას გაუწევს „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების" ახალი გამოცემა.

ყველა ეს და სხვა დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევები მოწმობენ, რომ გაძლიერდა მეცნიერულ-თეორიული მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში. ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის უკეთესი კოორდინაცია სკკპ ისტორიის დარგში, თავი მოუყაროს მეცნიერთა ძალებს, რათა დაამუშაონ უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-პარტიული პრობლემები შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ".

ჩვენში კიდევ უფრო განვითარდა კვლევა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის დარგში. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ ცალკეულ ნაშრომებში ზოგჯერ პოლემიკის საგანია ნაკლებაქტუალური საკითხები, რომლებსაც არა აქვთ საზოგადოებრივი მნიშვნელობა, და გვერდს უვლიან თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას, ხან კი არაჯანსაღ განწყობილებებსაც ქმნიან.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტები და უმაღლეს სასწავლებელთა შესაბამისი კათედრები შემოქმედებითად უნდა მიუდგნენ ცხოვრების მიერ წამოყენებული ამოცანების გადაწყვეტას, მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან განაზოგადონ თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე ღრმა სოციალური პროცესები.

ამხანაგებო!

საანგარიშო პერიოდში ახალი წარმატებები მოიპოვა ჩვენმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ. ჩვენი მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, თეატრალური და კინოხელოვნების მუშაკების ბევრი ნაწარმოები, რომლებიც ამ წლებში შეიქმნა, გამოირჩევა მაღალი იდეურობითა და მხატვრული ოსტატობით, გვახარებს თემატური და ჟანრული მრავალფეროვნებით.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ გამოჩნდა ნიჭიერი შემოქმედებითი ახალგაზრდობა, რომელიც ღირსეულად განაგრძობს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების კეთილშობილურ ტრადიციებს.

ქართული კულტურის ნამდვილი დღესასწაული იყო შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეები, რომლებიც მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა. ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებში მოწყობილი ქართული კულტურის დღეების შესახებ, იმის შესახებ, რომ სულ უფრო მტკიცდება ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა კავშირურთიერთობა. აქ კი მინდა ვთქვა, რომ საანგარიშო პერიოდში ქართული კულტურა ღირსეულად იყო წარმოდგენილი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რუმინეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, და მთელი ეს დღეები აგრეთვე გადაიქცა საბჭოთა სოციალისტური კულტურისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მიღწევათა აღმაფრთოვანებელ დემონსტრაციად.

სოციალისტური კულტურის განვითარების კანონზომიერების საფუძველია შინაარსისა და ფორმის ერთიანობა. ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპები ის მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს და განსაზღვრავს მთელი ჩვენი კულტურის განვითარების ხასიათს. ამას იმიტომ მოგაგონებთ, რომ ზოგიერთი ჩვენი მწერლის, ხელოვანის შემოქმედებაში ჯერ კიდევ შესამჩნევია თემატური შეზღუდულობა, რის შედეგადაც ჩნდება იდეურად და მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები, ისინი აყენებენ წვრილმან, უმნიშვნელო თემებს, ასახავენ არატიპიურ მოვლენებსა და ხასიათებს, ყურადღებას ამახვილებენ უმთავრესად ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებზე.

ამასთანავე ხშირად ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ჩვენს თეატრალურ დადგმებსა და კინოფილმებში უარყოფითი პერსონაჟები წინა პლანზე არიან წამოწეული, ხოლო დადებითი გმირები უფერულად და სქემატურად გამოიყურებიან. ცხადია, ასეთი ნაწარმოებნი ამახინჯებენ ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს და არა აქვთ აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალა.

მხატვრული შემოქმედების პარტიულ-კლასობრივი ხასიათი — აი ის კრიტერიუმი, რომლითაც უნდა განვსაზღვრავდეთ მხატვრულ ნაწარმოებთა საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მათს ღირებულებას ხალხისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმისათვის.

შემოქმედებითი კავშირებისა და დაწესებულებების მუშაობასთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული ჩვენი ისეთი გამოცემები, როგორიც არის გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", ჟურნალები „მნათობი", „ცისკარი", „ლიტერატურნაია გრუზია", „საბჭოთა ხელოვნება". ეს გამოცემები მოწოდებული არიან ასახავდნენ მხატვრული შემოქმედების განვითარების ღრმა პროცესებს, იდგნენ ლიტერატურასა და ხელოვნებაში პარტიულობის საგუშაგოზე. და მით უფრო დასანანია ზოგიერთი იდეური ხარვეზი და შეცდომა, რომლებიც უკანასკნელ დროს დაუშვეს „მნათობის", „ცისკრის" ფურცლებზე და უმთავრესად „საბჭოთა ხელოვნებაში".

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ალბათ გაარკვევს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" შექმნილ ვითარებას და გამოიტანს აქედან შესაბამის დასკვნებს.

ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა იდეური და მხატვრული დონის ამაღლებაში დიდი როლი ეკისრებათ პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი მოწოდებული არიან ყოველდღიურად წარმართავდნენ შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, უაღრესად სერიოზულ ყურადღებას უთმობდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინურ წრთობას, აქტიურად ილაშქრებდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ ნაწარმოებებში ისეთ შეხედულებათა შემოპარების ცდების წინააღმდეგ, რომლებიც უცხოა საბჭოთა საზოგადოების სოციალისტური იდეოლოგიისათვის. ჩვენი მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების შემოქმედებაში, ჩვენი თეატრებისა და კინოსტუდიის მუშაობაში ღრმად და ყოველმხრივ უნდა აისახოს ჩვენი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ცხოვრება და შრომა, ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის თემა.

ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია ყოველთვის პარტიასთან იყო, არასოდეს არ უხვევდა პარტიის გენერალური ხაზისაგან, ყოველთვის აქტიურად ახორციელებდა მარქსისტულ-ლენინურ იდეებს. დარწმუნებული ვართ, რომ იგი კვლავაც მუდამ იქნება იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

ამხანაგებო!

იდეოლოგიური მუშაობის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხები მუდამ უნდა იყოს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. იდეოლოგიური მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. იდეური აღზრდის ყველა საშუალება უნდა წარვმართოთ იმისათვის, რომ თვითეულ კომუნისტს, ყველა მშრომელს განვუმტკიცოთ კომუნისტური რწმენა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობები, შთავუნერგოთ მათ იდეური სიმტკიცე და იმის უნარი, რომ წინააღუდგნენ ბურჟუაზიული ზეგავლენის ყოველგვარ ფორმებს.

**ეჭვი არ არის, რომ ახალ ხუთწლედში საქართველოს ინტელიგენცია თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს სახალხო განათლებისა და სოციალისტური კულტურის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების საქმეში, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ახალ აღმავლობაში.**

## სრულვყოთ პარტიული მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები

ამხანაგებო!

საანგარიშო პერიოდს ახასიათებს საქართველოს კომპარტიის რიგების შემდგომი განმტკიცება, მისი პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის გაძლიერება. ეს მიღწეულია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების მტკიცედ დაცვის, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების, პარტიული მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის მეოხებით.

გაწეულია დიდი მუშაობა იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ დაგვისახა პარტიის თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის შესახებ". განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის თვისებრივი შემადგენლობა. იგი გაიზარდა მოწინავე მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიღების გზით.

საანგარიშო პერიოდში პარტიაში მიღებულია 49.490 კაცი. მათგან მუშები 48 პროცენტს შეადგენენ, მაშინ როცა წინა საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი შეადგენდა მხოლოდ 39 პროცენტს. ახლა კომუნისტთა 70 პროცენტი მუშაობს უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში. პარტიაში მიღებულთა 23,3 პროცენტს კოლმეურნეები შეადგენენ, 45 პროცენტი კომკავშირიდან მოსული ახალგაზრდობაა.

ამჟამად საქართველოს კომპარტია აერთიანებს 296 ათასზე მეტ კომუნისტს, 36 ათასით მეტს, ვიდრე 1966 წელს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტიაში მიღების დროს ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციას სერიოზული დარღვევები ჰქონდათ. მაგალითად, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ფოთის საქალაქო, ლენინგორის, წითელწყაროს რაიონულ და ზოგიერთ სხვა პარტიულ ორგანიზაციაში გამოვლინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში უღირს ადამიანთა მიღების ფაქტები. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დროულად გამოასწორა საქმე და მკაცრად მოსთხოვა ყველა პარტიულ ორგანიზაციას მტკიცედ დაიცვან ჩვენი პარტიის წესდება.

1969-1970 წლებში პარტიის საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა გააუქმეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების 278 გადაწყვეტილება პარტიაში მიღების შესახებ. ეს მოწმობს იმას, რომ საჭიროა ავამაღლოთ მომთხოვნელობა მიღების დროს, ზუსტად დავიცვათ პარტიაში ინდივიდუალური შერჩევის ლენინური პრინციპი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვი. ახლა ჩვენში არის 10.791 პარტიული ორგანიზაცია, 917-ით მეტი, ვიდრე 1966 წელს იყო.

მიღებულია ზომები პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურის სრულყოფისათვის. საანგარიშო პერიოდში შეიქმნა 137 ახალი პარტიული კომიტეტი, მათ შორის სამი რაიკომის უფლებებით, 2.506 საამქრო ორგანიზაცია, 854 პარტიული ჯგუფი. ამან დადებითი გავლენა მოახდინა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაზე, საშუალება მისცა მათ პარტიული ხელმძღვანელობა მიეახლოებინათ საწარმოო კოლექტივებთან, მათ ძირეულ რგოლებთან, პარტიულ მუშაობაში ჩაებათ მეტი კომუნისტი, აემაღლებინათ მათი როლი სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში. მაგრამ საამქრო ორგანიზაციები და პარტიული ჯგუფები ჯერ კიდევ ყველგან როდია შექმნილი, სადაც არის ამის შესაძლებლობა და საჭიროება.

პარტორგანიზაციების შემადგენლობის რეგულირებასთან ერთად განუწყვეტლივ უნდა სრულვყოფდეთ მის სტრუქტურას, ღრმად ვსწავლობდეთ წარმოების გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტთა განაწილების საკითხებს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობას განსაზღვრავს კომუნისტთა პოლიტიკური სიმწიფე, პრინციპულობა და საქმიანობა. ამ თვისებებს ვნერგავთ ჩვენი ორგანიზატორული, იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალებით, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პარტიულ კრებას.

ახლა პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარებისათვის პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტბიუროები და მდივნები უფრო ფართოდ აბამენ კომუნისტებს, ამის შედეგად კრებებზე იქმნება დღის წესრიგის საქმიანი განხილვის ვითარება, ამაღლდა კომუნისტთა აქტივობა, ისინი გამოთქვამენ თავიანთ აზრს, შეაქვთ წინადადებანი, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს. კარგად მომზადებული პარტიული კრებები, სწორად შერჩეული დღის წესრიგი, დასახულ საკითხთა კოლექტიური განხილვა ამაღლებს კომუნისტთა ინიციატივას, რაზმავს მათ დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ამ მხრივ ყურადსაღებია თბილისის, აფხაზეთის, ქუთაისისა და სხვა ბევრი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკა.

მაგრამ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია კრების დღის წესრიგის შერჩევის, მისი მოწყობის დროს თავს ვერ აღწევს შაბლონს, დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულ სქემებს, როცა ყველაფერი წინასწარ არის ჩამოწერილი, და კრება — პარტიული მუშაობის ეს ცოცხალი, ქმედითი ფორმა ფორმალურ „ღონისძიებად" იქცევა.

ამ და ასეთი ნაკლოვანებების დაძლევაში პრაქტიკულ დახმარებას გვიწევს პარტიული მუშაობის საუკეთესო გამოცდილების შესწავლა და პოპულარიზაცია. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „იაროსლავლის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებების მოწყობის პრაქტიკის შესახებ".

პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროებზე სისტემატურად განიხილავენ შინაპარტიული ცხოვრების საკითხებს, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა მთელი ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონე.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებს, რომლებმაც განიხილეს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების, კომუნისტთა ავანგარდული როლის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებულთა თვისებრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სხვა საკითხები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული კომიტეტების, ახმეტის რაიონის ალვანის საბჭოთა მეურნეობის, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობის და სხვა პარტორგანიზაციათა ანგარიშების გამო.

პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა გააუმჯობესეს პარტიის რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა. ბიუროების, პარტიული კომიტეტების სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ პირველადი ორგანიზაციების მუშაობის სხვადასხვა საკითხს, ისმენენ მათი საქმიანობის ანგარიშებს. პირველად პარტიულ ორგანიზაციებში რეგულარულად ისმენენ კომუნისტთა ანგარიშებს იმაზე, თუ როგორ ასრულებენ ისინი პარტიის წესდებას.

ასრულებენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტი პასუხისმგებლობით წყვეტენ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საკითხებს.

გაუმჯობესდა მუშაკთა თვისებრივი შემადგენლობა პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე. ამჟამად პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების 256 მდივნიდან 254 კაცს, ესე იგი 99,3 პროცენტს, აქვს უმაღლესი განათლება, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა 95 პროცენტს აქვს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლება.

მტკიცედ იცავს რა კადრების შერჩევის პრინციპს მათი საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დააწინაურა პოლიტიკურად მომზადებული მუშაკები, ინიციატივიანი, პრაქტიკულად შემოწმებული ენერგიული ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით გაუძღვნენ საქმეს. ამ მხრივ ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, და ახლა გვყავს პარტიული და საბჭოთა მუშაკების კარგი კადრები, რომლებიც წარმატებით ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. ამასთან ამ დიდ და რთულ მუშაობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ჰქონდა ხარვეზები და ნაკლოვანებანი. უნდა ითქვას, რომ ცენტრალური კომიტეტის ბიურო სწორად, თვითკრიტიკულად ეკიდებოდა ამ ნაკლოვანებებს, და შეიძლება ყოველთვის თავის დროზე ვერა, მაგრამ მაინც მუდამ ახორციელებდა საჭირო ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის.

საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა უმაღლესი პარტიული სკოლის ერთთვიან კურსებზე ხელმძღვანელი კადრების სწავლება. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის ერთთვიან კურსებზე მოსკოვში, ბაქოსა და თბილისში კვალიფიკაცია აიმაღლა 3.185 პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა მუშაკმა.

ფართოდ გავრცელდა პარტიული მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენციები და სემინარები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამართული ორი ასეთი სემინარის მასალები გამოქვეყნებულია კრებულებში, რომლებიც დაეხმარნენ პარტიულ აქტივს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო სისტემატურად ისმენდა პარტიის რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტების ანგარიშებს. მათი განხილვის დროს გამოვლინდა, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ლიბერალურად ეკიდება იმ მუშაკებს, რომლებიც თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ საქმეს, ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილ კრებებზე რესპუბლიკის კომუნისტებმა მწვავედ გააკრიტიკეს ზოგიერთი ხელმძღვანელი, მოიყვანეს უყაირათობის, გულგრილობის, მატერიალური და ფინანსური რესურსების განიავების ფაქტები. პარტიის წევრებმა აღნიშნეს, რომ იყო შემთხვევები, როცა ერთი ხელმძღვანელი თანამდებობიდან მეორეზე გადაჰყავდათ მუშაკები, რომლებმაც სახელი გაიტეხეს და საქმე ჩაფუშეს.

მუშაობაში სერიოზული დარღვევებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით მოვალეობისაგან გაათავისუფლეს პარტიის ცაგერის, ონის, ქარელის რაიკომების პირველი მდივნები ამხანაგები სილაგაძე, აბაიშვილი, ტოლიაშვილი, ახალციხის, კასპის, ქარელის რაიონული და გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ამხანაგები გელაშვილი, მუხიგულაშვილი, კოპაძე და ხინჩიკაშვილი.

ყრილობის დელეგატებმა იციან რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, შემდეგ კი პლენუმის გადაწყვეტილებით პარტიის ცხაკაიას რაიკომის ყოფილი მდივანი შონია მოხსნილია სამუშაოდან, გამოყვანილია ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და გარიცხულია პარტიიდან. ცხაკაიას რაიონის ხელმძღვანელი კადრების გარკვეულ ნაწილში, მათ შორის პარტიის რაიკომის ბიუროს წევრებს შორის შეიქმნა უპრინციპობის, მლიქვნელობის, ურთიერთთავდებობის ვითარება. აქ უხეშად ირღვეოდა სოციალისტური კანონიერება, იყო მექრთამეობის, დიდი დატაცების ფაქტები, ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი უმძიმეს ბოროტმოქმედებას სჩადიოდა, რისთვისაც შონია და სხვა პირნი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება აღნიშნულ საკითხზე ერთხელ კიდევ სერიოზულად მოგვაგონებს, რომ საჭიროა არა მარტო ვენდობოდეთ კადრებს, არამედ კიდევაც ვამოწმებდეთ მათს საქმიანობას, ყოველდღიურად ვზრდიდეთ მომთხოვნელობას, შეურიგებელნი ვიყოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ყოველი დარღვევისადმი.

საჭიროა ბოლო მოეღოს კადრების არასწორად შერჩევის ცალკეულ ფაქტებს, როცა მუშაკები ინიშნებიან არა მათი საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით არამედ ნაცნობობით, ძმაკაცობითა და ნათესაობით. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი ასეთი მიდგომა, რაგინდ ერთეული შემთხვევებიც იყოს ეს, ნიშნავს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების დარღვევას, სრულიად სამართლიანად იწვევს პარტიის წევრებისა და მთელი საზოგადოებრიობის აღშფოთებას და საბოლოო ანგარიშით ფუშავს საქმეს.

პრინციპულობის, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით კადრების აღზრდაში დიდ როლს ასრულებს კარგად მოგვარებული კონტროლი შესრულებისადმი. მთელი ჩვენი ორგანიზატორული, პრაქტიკული საქმიანობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ არც ერთი ჩვენი გადაწყვეტილება, ჩვენი დადგენილების არც ერთი პუნქტი არ დარჩეს შეუსრულებელი, რომ ყველაფერი, რაც პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დასახეს, ხორციელდებოდეს პრაქტიკულად. ამიტომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი კონკრეტული, რეალური იყოს, რომ მათი შესრულება შესაძლებელი იყოს. მხოლოდ მაშინ შევძლებთ კონტროლის გაწევას და უფლება გვექნება მოვითხოვოთ მათი შესრულება.

პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივების ფაქტიური შესრულების შემოწმებაში სისტემატურ, უფრო ქმედით დახმარებას უნდა უწევდნენ სახალხო კონტროლის ორგანოები. ამჟამად რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებში მუშაობს ათეულათასობით სახალხო კონტროლიორი. ეს დიდი ძალაა, რომელიც უნარიანად უნდა გამოვიყენოთ.

(დასასრული მე-6 გვერდზე).

# ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების დასასრული

ამ ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი პარტიული და პოლიტიკური ინფორმაციის გაუმჯობესებისათვის. აქ უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, ისევე როგორც ბევრი პარტიული კომიტეტის ბიუროები, პლენუმებს აცნობენ თავიანთ საქმიანობას, იმას, თუ როგორ სრულდება ადრე მიღებული გადაწყვეტილებანი. ასეთი პრაქტიკა სულ უფრო ვრცელდება პირველადს პარტიულ ორგანიზაციებშიც.

გაუმჯობესდა ინფორმაციების მიღება ადგილებიდან. ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროები, სხვებთან ერთად, არის მშრომელთა წერილები და განცხადებანი, და პარტია მოითხოვს, რომ ისინი განსაკუთრებით გულისხმიერად და ყურადღებით განიხილონ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დაწესებულებებში მოქალაქეთა მიღების საქმის სწორ ორგანიზაციას.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და ბიურომ მიიღეს მთელი რიგი დადგენილებანი მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების თაობაზე. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ხშირია წერილებისა და საჩივრებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების შემთხვევები. გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობა, მუდამ გვახსოვდეს, რომ თვითეული წერილის, თვითეული განცხადების უკან დგას ცოცხალი ადამიანი თავისი გასაჭირით, საზრუნავითა და სიძნელეებით.

ამხანაგებო!

პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური სტილის არსს შეადგენს უნარი იპოვნო მთავარი რგოლი მუშაობაში, მუდამ გამოიჩინო მომთხოვნელობა, საქმიანობა, კოლეგიალობა, ფართოდ გაშალო კრიტიკა და თვითკრიტიკა, სწორად შეარჩიო და გაანაწილო კადრები, სისტემატური კონტროლი გაუწიო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების ამოცანა ის არის, რომ განუხრელად განავითარონ და სრულყონ ეს სტილი...

საჭიროა, რომ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში ფართოდ გამოიყენონ ისეთი ქმედითი ფორმები, როგორიც არის პერსპექტიული დაგეგმვა, კომუნისტთა ანგარიშების მოსმენა პარტიულ კრებებზე მათი საქმიანობის შესახებ, რაიონული და საქალაქო კომიტეტების წევრთა ანგარიშები პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, პარტიული ორგანოების პერიოდული ანგარიშები პირველადს ორგანიზაციებში, კომუნისტთა წინადადებების ყოველმხრივი აღრიცხვა, საქმიანი რეაგირება მათს კრიტიკულ შენიშვნებზე.

როცა ვლაპარაკობთ პარტიული მუშაობის, მთელი ჩვენი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-პარტიული საქმიანობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაზე, საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ამ მუშაობას უნდა ვაწარმოებდეთ არა მარტო კრებებსა და სხდომებზე, არა მარტო ფართო მასებს შორის, არა მარტო აუდიტორიებში, ტრიბუნებიდან და კათედრებიდან.

იდეური, კომუნისტური რწმენა ადამიანებს უნდა ჩავუნერგოთ პირადი კონტაქტების, მათთან საუბრების დროსაც. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რით სულდგმულობენ ადამიანები, როგორია მათი საყოფაცხოვრებო პირობები, ვიცოდეთ, რა აღელვებს, რა აწუხებს მათ. ამისათვის უფრო ხშირად უნდა ვეწვიოთ ხოლმე ქარხნებსა და ფაბრიკებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, დაწესებულებებს, მუშათა სასადილოებსა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებს, ესე იგი იმ ადგილებს, სადაც მიმდინარეობს ადამიანთა ცხოვრება.

მაგრამ, სამწუხაროდ, გვყავს ისეთი მუშაკებიც, მათ შორის ცენტრალურ დაწესებულებათა აპარატებში, რომლებიც ვერ ამყარებენ მჭიდრო კონტაქტს მასებთან, იშვიათად აქვთ ურთიერთობა მათთან, არ ეწევიან ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას მშრომელთა ფართო მასებში, რადგან ჰგონიათ, თითქოს ყველა საკითხის გადაჭრა შეიძლებოდეს სხდომებსა და თათბირებზე, უამრავი გადაწყვეტილებებითა და დადგენილებებით.

რა თქმა უნდა, საჭიროა სხდომებიც, თათბირებიც, გადაწყვეტილებებიც, მაგრამ ყოველივე ამან არ უნდა ჩამოაშოროს ჩვენი მუშაკები, განსაკუთრებით პარტიული მუშაკები, ადამიანებს, ხალხს. რაც უკეთ გავეცნობით ადამიანთა ცხოვრებასა და ყოფას, მით უფრო სრულად ასახავენ ჩვენი კრებები და გადაწყვეტილებანი მშრომელთა ცხოვრებასა და მოთხოვნილებებს, მით უკეთ შევძლებთ რეალურ საქმეებად ვაქციოთ ჩვენი გადაწყვეტილებანი.

პარტიული მუშაკი მუდამ უნდა გვიჩვენებდეს პრინციპულობის, პატიოსნების, თავმდაბლობის, ჩვენი პარტიის საქმის ერთგულების პირად მაგალითს. ამასთან იგი ყოველნაირად უნდა განამტკიცებდეს კავშირს მასებთან, მუდამ იყოს მასებში, იცოდეს მასების განწყობილება. სწორედ ეს არის ჩვენი პარტიისა და თვითეული კომუნისტის მუშაობის ლენინური სტილი.

ამხანაგებო!

სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ ამაღლდა მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციების — საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის როლი.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, რის შედეგად მათ განამტკიცეს კავშირი მასებთან, მეტ გავლენას ახდენენ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე.

გასული წლის დამლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაკთა ჯგუფმა შეისწავლა საკითხი, თუ როგორ სრულდება ჩვენს რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოები უფრო აქტიურ მუშაობას ეწევიან მშრომელთა ფართო მასებში, განამტკიცებენ საზოგადოებრივ მეურნეობას, მეტს ზრუნავენ ადამიანებზე.

ამასთანავე სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს დაწვრილებით აღინიშნა სასოფლო და სადაბო საბჭოების რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც, უთუოდ, დადებითს როლს შეასრულებს მათი საქმიანობის გაძლიერებაში.

საანგარიშო პერიოდში პარტიულმა კომიტეტებმა გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი, რომლებიც ახლა დაახლოებით მილიონნახევარ მშრომელს აერთიანებენ. მომავალშიც ყოველნაირად უნდა ავამაღლოთ პროფკავშირთა მუშაობის დონე, განვახორციელოთ უფრო ეფექტიანი ღონისძიებანი მუშათა კადრების დენადობის წინააღმდეგ, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა, ენერგიულად ვიბრძოლოთ მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. უნდა გავააქტიუროთ მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირებისა და მშრომელთა შემოქმედებითი გაერთიანებების მუშაობა, დავეხმაროთ მუშა-მოსამსახურეებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვის ჩვევების გამომუშავებაში.

პარტიული კომიტეტები ყოველდღიურად წარმართავენ კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობას, რომლებიც თავიანთ რიგებში თითქმის ნახევარ მილიონ ქალიშვილსა და ჭაბუკს აერთიანებენ. კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყეს ღონისძიებებმა, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულმა კომიტეტებმა შეიმუშავეს „კომკავშირის ხელმძღვანელობისათვის კრასნოიარსკის სამხარეო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“ და „სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესაბამისად, აგრეთვე „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა“ საკითხის განხილვამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმზე.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან კვლავაც გააუმჯობესონ კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა, მოთმინებით და ყურადღებით აღზარდონ კომკავშირელთა კადრები, განამტკიცონ კომკავშირის პარტიული ბირთვი.

საანგარიშო პერიოდში კიდევ მეტად განმტკიცდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა კავშირი ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქების ნაწილებისა და შენაერთების პოლიტორგანოებთან და პარტორგანიზაციებთან. ჩვენ განუწყვეტლივ უნდა განვამტკიცებდეთ ამ კავშირს, უნდა გავხადოთ იგი უფრო ნაყოფიერი, უფრო ქმედითი, გავაძლიეროთ მთელი ჩვენი ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

ამხანაგებო!

ჩვენს ყრილობას წინ უძღოდა საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები და კონფერენციები, რომლებმაც ჩაიარეს მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, კომუნისტთა დიდი აქტივობით, სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის პარტიის წევრებისა და ყველა მშრომელის მობილიზაციის ნიშნით. ანგარიშებმა და არჩევნებმა კვლავ დაადასტურეს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია შეკავშირებული და მონოლითურია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ერთგულია, მზად არის მტკიცედ განახორციელოს პარტიის გენერალური ხაზი, იბრძოლოს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის!

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვამს, რომ საქართველოს კომპარტია მუდამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პირველ რიგებში იდგება, მუდამ მისი ერთგული, ნაცადი რაზმი, რესპუბლიკის მშრომელთა მებრძოლი ავანგარდი იქნება, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

## ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო მ. ტეპავაცი

27 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი მ. ტეპავაცი, რომელიც მოსკოვში იმყოფება ოფიციალური ვიზიტით.

ლ. ი. ბრეჟნევსა და მ. ტეპავაცს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

საუბარს ესწრებოდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. ი. სტეპაკოვი; იუგოსლავიის მხრივ — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. მიჩუნოვიჩი.

## „აბესალომ და ეთერი“ ყრილობის დელეგატებისათვის

27 თებერვალს საღამოს საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატები თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში დაესწრნენ ქართული მუსიკის კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის უკვდავ ოპერას „აბესალომ და ეთერი“.

ყრილობის დელეგატები გულთბილად მიესალმნენ სპექტაკლის მონაწილეებს. (საქინფორმი).

## მოძმე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე

● ერევანი, 26 თებერვალი. (საქინფორმი). დღეს აქ მუშაობას განაგრძობდა სომხეთის კომპარტიის XXV ყრილობა. დილიდანვე მიმდინარეობდა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების განხილვა.

ყრილობამ აირჩია სომხეთის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოები და სკკპ XXIV ყრილობის დელეგატები.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ა. ე. ქოჩინიანი.

● ალმა-ათა, 26. დღეს მუშაობა დაამთავრა ყაზახეთის კომპარტიის XXIII ყრილობამ. ყრილობამ მოიწონა რეზოლუცია ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო. დაამტკიცეს აგრეთვე დადგენილება სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ. ყრილობამ აირჩია ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები. 26 თებერვალს გაიმართა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს დ. ა. კუნაევი.

● კიშინიოვი, 26. დღეს მუშაობა დაამთავრა მოლდავეთის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ.

გაიმართა მოლდავეთის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა და სკკპ XXIV ყრილობის დელეგატთა არჩევნები. მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ი. ი. ბოდიული.

# საბჭოთა მთავრობის განცხადება

[illegible]

...ფოთა კანონიერ ინტერესებს, საქმით კი იგი მხარს უჭერს ისრაელის აგრესიულ კურსს.

ყოველივე ამის გამო ამერიკის შეერთებული შტატები ისრაელთან ერთად კისრულობენ მთელ პასუხისმგებლობას ვითარებისათვის, რომელიც იქმნება ახლო აღმოსავლეთში. ისინი იზიარებენ პასუხისმგებლობას ისრაელის უკანასკნელი ობსტრუქციონისტული ნაბიჯისთვისაც — მისი იმ განცხადებისთვისაც, რომ უარს ამბობს გაიყვანოს ჯარები არაბული ტერიტორიებიდან, და მთელი შედეგებისათვის, რაც შეიძლება მოჰყვეს ამას.

იბადება კითხვა — რა მიმართულებით განვითარდება შემდგომი მოვლენები ახლო აღმოსავლეთში? თვითეულმა მთავრობამ, თვითეულმა პასუხისმგებელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ახლო აღმოსავლეთში ალტერნატივა ასეთია: პოლიტიკური მოწესრიგება ან სამხედრო შეტაკება. ამიტომ საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ახლა განსაკუთრებით საჭიროა ყველა იმ სახელმწიფოს აქტიური მოქმედება, რომლებსაც სურთ მშვიდობა, იმ მიმართულებით, რომ საშუალება არ მისცენ ისრაელსა და მის მფარველებს ჩაფუშონ პოლიტიკური მოწესრიგების საქმე. თუ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები გააერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს ახლო აღმოსავლეთში ასეთი მოწესრიგებისა...

[illegible]

...ახალ საშიშ გართულებათა წარმოქმნის დარგში. სიტყვით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აღიარებს არაბულ სახელმწი...

...ლეთში მშვიდობის მალეისა და აგრესიის ძალების ბრძოლაში გაიმარჯვოს მშვიდობის პოლიტიკამ.

## მსოფლიო დღეს

ჰანოი, 26. ლაოსის პატ[illegible] ტული ძალების მებრძოლ[illegible] 14 თებერვალს სავანაკ[illegible] პროვინციაში ჩამოაგდეს ამ[illegible] კელთა 10 ვერტმფრინავი.

როგორც კაოსან პატეტ-ლ[illegible] სააგენტო იუწყება, 1964 წ[illegible] 17 მაისის შემდეგ ლაოსში [illegible] მოგდებული ამერიკული თ[illegible] მფრინავებისა და ვერტმფრ[illegible] ვების საერთო რაოდენობამ [illegible] ადგინა 1.700.

პარიზი, 27. საფრანგ[illegible] მომავალ მუნიციპალურ არ[illegible] ნებთან დაკავშირებით წინ[illegible] რჩევნო კამპანია ტრაგიკ[illegible] ეპიზოდით დაიწყო. დღეს [illegible] ლით ქალაქ პიუტოში, პარი[illegible] სოციალისტური პარტიის [illegible] ნასაარჩევნო პლაკატების [illegible] კვრელებს თავს დაესხნენ [illegible] იარაღებული ბანდები. პ[illegible] ტების ერთ-ერთი გამკვრ[illegible] — 30 წლის მუშა-სოციალ[illegible] კაფედ სალა მოკლეს და [illegible] მძიმედ დაჭრეს. როგორც [illegible] მის მოწმენი აღნიშნავენ, [illegible] დამსხმელები უკიდურეს [illegible] რჯვენე ორგანიზაციებს ეკ[illegible] ნიან.

პარიზი, 26. ქალაქ [illegible] მეცნიერებათა, ხელოვნებისა [illegible] ტყვიერების აკადემიამ გამოა[illegible] რომ აწესებს ფრანგულ ენაზე [illegible] ტერატურული ან მეცნიერულ[illegible]

[illegible]

...ნტინო შენობა. ფრენისწინა კარანტინთან ერთად კოსმო... ...ნაპიროზე და თურქეთის ევროპულ ნაწილში.

## სპორტი

### ასპარეზობათა პანორამა

● **თავისუფალი ჭიდაობა.** ორი დღეა თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში რვა ქვეყნის ათლეტთა მონაწილეობით. ბრძოლა ერთდროულად მიმდინარეობს ორ ხალიჩაზე. მოჭიდავეებმა უკვე დაამთავრეს ასპარეზობის ოთხი წრე. გუშინ საღამოს აქტიურად იბრძოდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი თედიაშვილი (წონა 82 კილოგრამამდე) ირანელ მოჰამადისთან და გაიმარჯვა ქულებით. ბერიაშვილმა (74 კილოგრამამდე) მოუგო ჟურულს (მოსკოვი), მარშანიამ (90 კილოგრამამდე)— პაპაშვილს. დღეს შედგება დასკვნითი შეხვედრები.

● **ფიგურული ციგურაობა.** [illegible]

[illegible]

● **ჭადრაკი.** გუშინ მოსკოვში შედგა ა. კუშნირისა და მ. რანიკუს მატჩის მეშვიდე პარტია ჭადრაკში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის გამოსავლენად ქალთა შორის. თეთრებით თამაშობდა მ. რანიკუ. პარტია გადაიდო. ა. კუშნირს 2 ზედმეტი პაიკი აქვს.

● **პროფკავშირული სპარტაკიადა.** გრძელდება პროფკავშირთა ზამთრის მეშვიდე სპარტაკიადა. ტერსკოლში მიმდინარეობს ასპარეზობა სამთო-სათხილამურო სპორტში. გუშინ გიგანტურ სლალომში ვაჟთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა თბილისელი ი. ნასყიდაშვილი.

გაზეთ „კომუნისტის“ დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია. ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 1 მარტს.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

**28 თებერვალი**

10.15 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე“, 12.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „მოდიან, მოდიან მატარებლები“, 13.00 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში (გადმოცემა საფრანგეთიდან), 14.30 — სატელევიზიო ფილმი, 15.00 — საერთაშორისო პანორამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — კინონარკვევი, 15.40 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.30 — „სოფლის მშრომლები“ — უკრაინის სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — გადაცემა „კინოსტუდია“ ქართული ფილმი-1971“, 17.40 — შეხვედრა ყრილობის დელეგატებთან, 18.00 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში (გადმოცემა საფრანგეთიდან), 21.00 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ისინი მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობენ, 22.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.50 — „ლიტერატურა და ხელოვნება — სატელევიზიო ჟურნალი“.

**1 მარტი**

16.45 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.50 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.25 — განცხადებები, 18.30—„განვიხილავთ ყრილობის დირექტივების პროექტს“, 18.50 — გადაცემა ციკლიდან „ქართული მუსიკა-50“, 19.30 — საზეიმო საღამო, მიძღვნილი ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავისადმი (ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან). 22.00 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დღიური.

### თეატრები

**28 თებერვალი**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — ბებია და შვილიშვილი (დღისით), ბაიადერა (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — დონ კარლოსი (პრემიერა); **გრიბოედოვის სახელობის** — მასკარადი; **ფილარმონიის საზამთრო** — მინიატიურების თეატრი „ენკი-ბენკი“, „ცხრა მუშკეტერი და ხუთი მხარტანიანი“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაცარქექია (№ 19 აბონ. 10 ს., უაბონ. 1 საათზე); **თოჯინების ქართული** — ტყის კომედია (12 ს. და 2 ს. უაბონემენტოდ).

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04562
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.